ბიბლიოთეკა
Библиотека В.И.

# ქეჯი

„... და მაშინ
განისვენონ ყოველი
ქართველი“

№13, ოთხშაბათი, 23-29 მაისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი

# 26 მაისი



**1918 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე**

**1939 წლის 26 მაისი – ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას დაბადების დღე**

**1991 წლის 26 მაისი – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის დღე**



## გილოცავთ!

**ტარიელ ფუტკარაძე:**

**ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბ-ნი გრანი ქავთარიას გაავება**

გვ. 3



**შალვა ნათელაშვილი:**

**მაშინ რომ პარტიის ლიდერი ვყოფილიყავი, ცხადია, მოვმეთხოვებოდა...**

გვ. 4

**ბატონო ნოდარ. აბა. გაიხსენეთ თქვენს მიერ გავრცელებული ჭორები...**



გვ. 3

ქუთათურთა კომენტარები თემურ შაშიაშვილის, მუხრან მაჭავარიანის და სხვათა ურთიერთობების შესახებ

გვ. 6

**ბერძენიშვილი და ჯგერენაია „ფაშისტური“ საქართველოს წინააღმდეგ?**

გვ. 7

## სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდიას მიერ:

...მეგობრებო! გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. და დღეს, დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმან ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ღვთის გზის ჭეშმარიტება, რათა მან სწამოს ქრისტესათვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ ორპირობა და გულარძნილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვსტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი. ძმანო და დანო! ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს, ისრაელისათვის წმინდა დღესასწაულის დღეს, უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე, ღმერთკაცი და ბარაბა ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს-აცუ, ჯვარს-აცუ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა ერმა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია – ღმერთკაცი.

ძმანო! უსაშინლესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის მანძილზე. მათ დაკარგეს დამოუკიდებლობა, დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, განიფანტნენ მთელს მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმან ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარჰყვეს ქრისტე. და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ისევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით, მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარსდგა არჩევანი – აი, ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, ჰა, მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და ულმერთოებისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას.

და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა. ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა. და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელია გვანადგურებს.

აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

აი, მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი, მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი, მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი მტერთაგან ძლეულნი. მამული ჩვენი მტერთა ფეხქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ და, აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტური მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!
კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას! ამინ!

## პოლემიკა

# გრანი ქავთარია:

## რაც მიწერია შეიძლება ბევრისათვის მისაღებიც არ არის და რატომ მოითხოვს ბ-ნი ტ. ფუტკარაძე გავაღრმავო ლეგენდა?



კრიტიკული წერილის სათაურში სარეცენზიო ნაშრომის ყველაზე თვალსაჩინო ღირსება ან ნაკლი გამოაქვთ; ეს არის მარჯვე ხერხი, რომლითაც ავტორი ცდილობს მკითხველი დადებითი ან უარყოფითი ამბების მოსასმენად განაწყოს. ტრადიციის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს გაზეთ „ქუჯიში" გამოქვეყნებული ბატონ ფუტკარაძის წერილი, „დიდი ერისთავი ქუჯი და დღევანდელი ისტორიკოსის „პატარა" შეცდომები"(თანაც, შეცდომა კი არა, შეცდომები). „ქუჯის" მისამართით გამოთქმული შენიშვნები გამოცხადებულია „პატარა" შეცდომებად (ალბათ, ნაშრომის მცირე მოცულობის გამო), როგორც ჩანს, ვრცლად რომ დამეწერა, „დიდ შეცდომებს" დავიმსახურებდი (სინამდვილეში რეცენზიის ავტორი „დიდს" გულისხმობს). სათაურში გამოტანილი მკაცრი განაჩენი მაიძულებს გაზეთის მკითხველებს ვაუწყო, რომ ბროშურის ავტორი და მისი მსაჯული მდინარის სხვადასხვა ნაპირებზე დგანან. ეგრისის ერისთავთან დაკავშირებით იმდენად ბევრი რამ არის ბუნდოვანი, რომ უამრავი ვერსიის წამოყენება შეიძლება.

მაგრამ უნდა დავიცვათ ერთი პირობა: არ გამოვიყენოთ მრუდე სასწორი და თხრობას სწორი მიმართულება მივცეთ.

მადლობას მოვახსენებ ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს ნაშრომის მიმართ გულთბილი სიტყვებისათვის, მაგრამ ვერ დავეთანხმები რამდენიმე სადავო საკითხის განმარტებაში. გაზეთის პუბლიკაციით უცნობი რჩება, რომ ქუჯის გარშემო ქართულ მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. ამ საკითხზე მსჯელობის ნაცვლად, საუბარი გადატანილია სულ სხვა სფეროში, რასაც ჩვენს თემასთან კავშირი არ აქვს. გვრჩება შთაბეჭდილება, ნაშრომის სუსტმა მხარემ ისეთი ზემოქმედება მოახდინა ბ-ნ ტარიელ ფუტკარაძეზე, რომ აღშფოთება სათაურიდანვე გვამცნო.

თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების კლასიკოსები ქუჯის რეალობაში ბოლომდე დარწმუნებულნი არ არიან. ჩვენი მსჯელობაც ძირითადად ვარაუდებზეა აგებული და ამ ვარაუდებს ვერ დავუმატებდით საეჭვო თეორიას, „საერთო-სახალხო ქართულ-ქართველური სალიტერატურო ენის" შესახებ, ისტორიის ადრეულ ეტაპზე. შევეცადე ლეგენდარულად მიჩნეული პიროვნება რეალურად მექცია, რაზედაც ბ-მა ტ. ფუტკარაძემ ისეთი რისხვა დაგვატეხა, რომ მთელი ჩვენი ნააზრევი თითქმის არარაობად გამოგვიცხადა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ შენიშვნებში მითითებული საკითხების კვლევა ჩემს მიზანს არ შეადგენდა. დავუმატებ, ჩემი აზრით, ბევრი რამ საკმაოდ გაბედულადაც გამოვთქვი და ამ ეტაპზე ეს საკმარისად მიმაჩნია. რატომ გვთხოვენ ზედმეტი ორიგინალობა გამოვიჩინოთ?

ბ-ნი ტ. ფუტკარაძე გვსაყვედურობს, რომ თხრობა მცდარად გვაქვს წარმართული. იგი წერს, „პატივცემული მკვლევარი აქ რამდენიმე სავალალო შეცდომას უშვებს. სამწუხაროდ, ამ უზუსტობას ვერ არბილებს ზმნა-ჩართული „სავარაუდოა". ის, რასაც რეცენზენტი „სავალალო შეცდომად" გვითვლის, საკითხიდან საკმაოდ სერიოზულ გადახვევად გვეჩვენება. საკუთარ ვარაუდებს ვერ დავუმატებდი ბ-ნ ტ. ფუტკარაძის ვარაუდებისაგანაც შორის მდგომ მსჯელობას საერთო ქართული სალიტერატურო ენის არსებობის შესახებ, ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში. ბ-ნ ტ. ფუტკარაძის დასმული კითხვები იმდენად ფანტასტიკურად გვეჩვენება, რომ მასთან შედარებით ჩვენი „სავარაუდოა", ასგზის შემოწმებულ ჭეშმარიტებად გამოიყურება. შეიძლება „ქუჯი" საჭიროებს დაზუსტებასა და ჩასწორებას, მაგრამ იმ სიახლეების გათვალისწინებით, რომელსაც ბ-ნი ტ. ფუტკარაძე გვთავაზობს, ვერ ჩავასწორებთ. პატივცემული რეცენზენტის აზრით, ნაშრომში პასუხი არ არის გაცემული ძირითად კითხვებზე და ნაკლი სამ პუნქტად ჩამოყალიბებული წარმოგვიდგინა:

I. ძველი ეგრისი და ქართული სამყარო რატომ მოიაზრა ავტორმა ცალ-ცალკე ერთეულებად?

II. რის საფუძველზე იქნა დაშვებული ენობრივი ბარიერი ეგრისსა და დანარჩენ საქართველოს შორის?

III. რატომ უშვებს ბ-ნი გ. ქავთარია, რომ ფარნავაზამდე ქართული ენა არ იყო „გავრცობილი" ეგრისში".

ბ-ნ ტ. ფუტკარაძის შენიშვნები რეალობის ხელოვნურ გართულებად გვეჩვენება. ჩვენი საუბარი ეხება საქართველოს წარსულის ისტორიულ და არა პრეისტორიულ ეპოქას. აღნიშნულ ეპოქაში კი წარმოუდგენელია ერთი ენის არსებობა. ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, მსგავსი გაბედული საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს ღმერთმა ხელი მოუმართოს. ჩვენ შორის ვართ ასეთი სიახლეებისაგან და ძველ პოზიციებზე ვრჩებით.

მოველოდი, რომ კამათი მომიწევდა იმის შესახებ, რამდენად მისაღებად გადმოვეცი ძველი საქართველოს გაერთიანებების საკმაოდ ბუნდოვანი ეპოქა და ამ გაერთიანებაში ეგრისის ერისთავის დამსახურება. ჩვენ ვწერთ კონკრეტულ პიროვნებასა და კონკრეტულ საკითხზე (ყოველ შემთხვევაში ასეთი სურვილი გვაქვს). ამიტომ ვცდილობდი ნაკლებად სარწმუნო ამბებისაგან თავი შემეკავებინა. ვერ დავწერდი ფარნავაზისა და ქუჯის ხანაში ქართველურ ტომთა ენობრივი ერთიანობის არსებობას. ქუჯის ფარნავაზთან ერთად ქართულ ცნობიერებაში არ უკავია ის ადგილი, რომელსაც ასეთი პიროვნება იმსახურებს. ვცდილობ, ხელმოსაკიდის მოძიებას, რომ დავუბრუნო დროის ცვალებადობით გაფერმკრთალებული სახე. ლეგენდებიდან გამოყვანილი პიროვნების წარმოდგენილ აღწერას (თუ გამოყვანა მოვახერხე), ახალ ლეგენდას ვერ დავუმატებ და ვერ დავაბრუნებ ისტორიის ლაბირინთებში. ბ-ნ ტარიელ ფუტკარაძეს ფართო საზოგადოებისათვის საკუთარი მოსაზრების გაცნობა თუ სურდა, ეს „ქუჯის" გვერდის ავლით უნდა გაეკეთებინა.

კვლავ უნდა გავიმეორო, ფარნავაზისა და ქუჯის კავშირს შედეგად მოჰყვა ქართველური ტომების, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული გაერთიანება. ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს თითქოს იმ შორეულ წარსულში არსებობდა ერთი ენა. ლეონტი მროველის სიტყვები, „ამან განავრცო ენა ქართული, და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა", ჩვენი აზრით, იმას გულისხმობს, როგორც ნაშრომში გვაქვს მოცემული. ბ-ნ ტ. ფუტკარაძის ვერსიის საწინააღმდეგოდ მიგვაჩნია ლეონტი მროველის თხრობის ის მონაკვეთიც, სადაც მოცემულია ქუჯის საერისთაოს საზღვრები: „და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ." ქუჯი გახდა საქართველოს იმ მხარის ერისთავი (ეგრისის ერისთავს დაექვემდებარა სვანეთიც), რომელიც ენობრივად განსხვავდებოდა გაერთიანებული ქვეყნის დანარჩენი კუთხეებისაგან. ამდენად, სულაც არ მიგვაჩნია შეცდომად„ ძველი ეგრისისა და ქართული სამყაროს ცალ-ცალკე ერთეულებად მიჩნევა". „ცალ-ცალკე ერთეულების" არსებობას ადასტურებს ფარნავაზის წინა პერიოდის ქართველი ტომის ბელადების ურთიერთობანი. ლეონტი მროველი წერს, „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან". მემატიანე კარგად გვიხატავს რეალურ მდგომარეობას. რატომ ვამცირებთ გაერთიანების მნიშვნელობას და მის ფუძემდებელთა როლს? რატომ ვთვლით, რომ დასაბამიდან არსებობდა„ საერთო-სახალხო ქართულ-ქართველური ენა". ისმის კითხვა, ენობრივ ერთეულებად დაშლა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ დაიწყო?

ბ-ნი ტ. ფუტკარაძე გვირჩევს:„ რამდენიმე დაზუსტების თუ ჩასწორების შემდეგ ბ-ნი გრანი ქავთარიას წიგნი „ქუჯი" უთუოდ ღირსშესანიშნავი ორიენტირი იქნება მომავალი თაობებისათვის". როგორი ორიენტირის როლს შეასრულებს „ქუჯი" ამის მსაჯულად ბროშურის ავტორი არ გამოდგება, მაგრამ შემოთავაზებული იდეის გათვალისწინებით ბევრი რომ არ შეემატება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება გარკვევით მაქვს გადმოცემული და რაიმეს დამატება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ჩემი მცირე ნაშრომი არის ეგრისის ერისთავის შესახებ გაბმულად თხრობის პირველი ცდა. შევეცადე ლეონტი მროველთან დაცული ფრაგმენტებით აღმედგინა ქუჯის დამსახურება საერთო ქართული სახელმწიფოს წინაშე. ვიმეორებ, *ის რაც მიწერია შეიძლება ბევრისათვის მისაღებიც არ იყოს და რატომ მოითხოვს ბ-ნი ტ. ფუტკარაძე გავაღრმავო ლეგენდა?*

წერილში ბევრია საკამათო (ნუთუ სიმართლეა, რომ „ თანამედროვე ინგლისელს შექსპირის გაგება არ შეუძლია?"), მაგრამ ყურადღებას შევაჩერებ აიეტზე. ბ-ნი ტ. ფუტკარაძე, ალბათ, „პატარა შეცდომებში" გვითვლის იმასაც, რომ „ქუჯი" აიეტით არ დავიწყეთ.

„დიდი ერისთავი ქუჯი და დღევანდელი ისტორიკოსის „პატარა" შეცდომების" პირველსავე წინადადებაში დასმულია მკაცრი მოთხოვნა: „ჩვენი ისტორიკოსები საქართველოს ისტორიას აიეტით უნდა იწყებდნენ". იგივე პრეტენზია ავტორმა კვლავ გაგვიმეორა: „ ფარნავაზამდელი საქართველო აიეტიდან ანუ კოლხური ცივილიზაციიდან უნდა დავიწყოთ". თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლხური ცივილიზაცია და აიეტი სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენენ. ერთია რეალობა, მეორე - მითი. რის საფუძველზე უნდა დავიწყოთ საქართველოს ისტორია აიეტით, განმარტებას არავინ იძლევა. რატომ ამკობენ პოპულარული ბერძნული მითის პერსონაჟს რეალური პიროვნების ნიშნებით? ნუთუ არ დადგა დრო ზღაპარი და სინამდვილე განვასხვავოთ.

„ქუჯიში" ჩემს ამოცანას შეადგენდა ფარნავაზისდროინდელი საქართველოს ისტორიის გადმოცემა. ისედაც საკმაოდ ბუნდოვანი ეპოქის შესახებ რა დახმარება უნდა გაგვიწიოს მითიურმა აიეტმა? აიეტის მეფედ მიჩნევის ტრადიცია მითოლოგიის საკუთრებას წარმოადგენს. მისი ჩასმა რეალობაში შეუძლებელია.

არგონავტების მითი რომ არ არსებობდეს, არც აიეტი გვეცოდინებოდა. მოვიტან უბრალო მაგალითს, „ არგონავტიკის" გმირები: იასონი, ორფევსი, ასტერიონი, ერიტე...55 მონაწილე, იოლკოსის მეფეები (ესონი, პელიასი) და სხვანი რეალური პირები არიან? „არგონავტების" თქმულებაში დაცული მრავალრიცხოვანი მეფეებიდან რომელიმე ჯდება ისტოორიის ჩარჩოებში? ძველი ან თანამედროვე ბერძნები „ არგონავტიკაში" მოთხრობილ ამბებს სინამდვილესთან აახლოვებენ? რატომ გამოგვყავს ბერძნული მითიდან ქართული სინამდვილე?

არგონავტების ლაშქრობა თუ ელადისათვის იყო ლეგენდა, ასევე უნდა ჩავთვალოთ იგი საქართველოსთვისაც. მაშინ, როდესაც აღნიშნულ მითში რეალური პირები საერთოდ არ ფიგურირებენ, გამოვდივართ და ვამბობთ, არსებობდა გამონაკლისი. ვინ დაიჯერებს, რომ „არგონავტების" თქმულებაში რეალური პიროვნება არის მხოლოდ აიეტი. .ყოველივე ამის გათვალისწინებით, აიეტით უნდა დავიწყოთ საქართველოს ლეგენდარული და არა ისტორიული პერიოდი. ამიტომაც ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქის აიეტით დაწყება ლეგენდებისაკენ მიბრუნებად მიმაჩნია.

სასურველი იყო, რომ „ქუჯის" გამოცემას გაზეთი „ქუჯი" ლეგენდებისაგან თავდაღწეული შეხვედროდა.

## მრუდე სარკე და სინამდვილე

### მრუდე სარკე

ჯემალ გოგიტიძე (კურიერი, 18.05): ზურაბ ჟვანიას გაპრემიერება სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავს, რასაც ოპოზიცია არ დაუშვებს!

ელენე თევდორაძე (კურიერი, 18.05): ოპოზიციის აწყობს, რომ არსებული ცუდი სიტუაცია გაგრძელდეს; მერე იტყვიან: ხალხო, ნახეთ, რა ცუდია მოქალაქეთა კავშირიო!

### სინამდვილე

დეფაქტო პარლამენტში არსებული დაჯგუფებები ერთმანეთთან ფსევდოჭიდილით აბნევენ ხალხს და, ამასობაში, აგერ უკვე 10 წელია იხანგრძლივებენ პოლიტიკურ სიცოცხლეს. როგორც წესი, მათი ძიძგილაობა გარიგებით მთავრდება ხოლმე; გახსოვთ ალბათ: ბათუმის საბაჟოსა და სანაოსნოს შესახებ აგორებულ-ჩაფარცხული საკითხები, რჩეულიშვილის მიერ გორში ნაყვირალი ფრაზა(შევარდნაძე სანაგვეზე!) და შემდეგ მისი გასპიკერება და ა.შ. და ა.შ.

ზურაბ ჟვანიას გაპრემიერებითაც და არსებული სიტუაციის დაკონსერვებითაც უკანონო რეჟიმი არა მხოლოდ გაიხანგრძლივებს არსებობას, არამედ, ქვეყანაში უფრო მეტად გაამძაფრებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ნიჰილიზმს, რაც ქვეყნის ნგრევის პირდაპირპროპორციულია!

### მრუდე სარკე

ვასილ მაღლაფერიძე (ინგა გრიგოლიას "ტრიო-მოამბე" 18.05): ქვეყანას დასაშლელად სწირავს ის ხალხი, ვინც ითხოვს საქართველოში ეროვნულობის რეკვიზიტის აღდგენას აქ მცხოვრები ყველა ეთნოსისთვის...

გურამ შარაძე (ინგა გრიგოლიას "ტრიო" 18.05): შევარდნაძემ ხელახლა შემოიტანა ეს პროექტი, მარტო მე კი არა პრეზიდენტიც ითხოვს ეროვნულობის რეკვიზიტის აღდგენას... ე.ი. საქართველოს პრეზიდენტს არ ცოდნია, რას აკეთებს?!

### სინამდვილე

ომის ქარცეცხლში გახვეულ და ტერიტორიებდაკარგულ საქართველოში ამ საკითხის აგორება დიდი პროვოკაცია იყო ამ უკანონო პარლამენტების თუ პარლამენტარების მიერ. ჯერ იყო და ეროვნების გრაფა საერთოდ ცარიელი დატოვა და საქართველო უეროვნო მოქალაქეების ქვეყანად გამოაცხადა პუტჩით მოსულმა ხელისუფლებამ; შემდეგ ამ თემის აგორებით საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს სეპარატისტული მისწრაფებები გაუღვივა, ახლა კი ველოსიპედის ხელახალი გამოგონებით, წინასაარჩევნოდ, ხელახლა ახდენენ საზოგადოების პროვოცირებას!

ცივილიზებულ მსოფლიოში ყველას, ვინც ღებულობს მოცემული ქვეყნის მოქალაქეობას, პასპორტში მოქალაქეობაც და ეროვნებაც ეწერება ამ ქვეყნის სახელის ფუძის მიხედვით; მაგ., საფრანგეთის ზანგ მოქალაქესაც პასპორტში ფრანგი უწერია! ამ ქვეყნებში ადამიანი მოქალაქეობას ვერ მიიღებს, თუკი მან სახელმწიფო ენა არ იცის.. საქართველოს არ ძალუძს ამ პრინციპის ბოლომდე გატარება, ამიტომაც არის რეკვიზიტის საკითხის წინ წამოწევა და შემდეგ მისით ვაჭრობა პოპულისტების მიერ ამ მთავრობისმიერი პროვოკაცია!

პოლემიკა

# ტარიელ ფუტკარაძე: ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბ-ნი გრანი ქავთარიას გაავება

პატივცემულო მკითხველო!

დღევანდელ საქართველოში ბევრი წიგნი იბეჭდება; ყველას ვერ გამოვეხმაურებით. ბატონი გრანი ქავთარიას ბროშურა ქართველთა ერთ-ერთ და პირველ გამაერთიანებელს მიეძღვნა, და სწორედ ამიტომ, არ დავიშურეთ მისთვის საქებარი სიტყვები; გამოხმაურებაში აღვნიშნეთ ისიც, რომ არცერთი ისტორიული თუ ლინგვისტური საფუძველი არ ჰქონდა ბატონ გ. ქავთარიას, 23-24 საუკუნის წინ მცხოვრებ ჩვენს წინაპრებს შორის ენობრივი ბარიერი აღემართა...

ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბ-ნ გ. ქავთარიას გაავება. მის პასუხსაც და ჩვენს ვრცელ კომენტარსაც მხოლოდ იმ მიზნით ვბეჭდავთ, რომ საზოგადოებამ უფრო ნათლად გააცნობიეროს არა მხოლოდ ძველი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა ღირსებები და პრობლემები, არამედ თანამედროვე სიტუაციასაც სწორად აუღოს ალღო... ჩვენში აკადემიური პაექრობის დეფიციტია, ამდენად, შევეცდები ტაქტში არ ავყვე პატივცემულ ისტორიკოსს.

ბატონი გრანი ქავთარია წერს:

„ჩვენი საუბარი ეხება საქართველოს წარსულის ისტორიულ და არა პრეისტორიულ ეპოქას. აღნიშნულ ეპოქაში კი წარმოუდგენელია ერთი ენის არსებობა“.

ადამიანებს წარმოსახვის სხვადასხვა უნარი აქვთ. ჩვენთვის ნათელი არ არის თუ რატომ ვერ წარმოუდგენია პატივცემულ ისტორიკოსს ისტორიულ ხანაში ერთი ენის არსებობა; ნუთუ წარმოუდგენელია, რომ ქართველთა დიალექტებს ისტორიის რომელიღაც ეტაპზე საერთო ამოსავალი ერთი ენობრივი სისტემა ჰქონოდათ? თუ რა დროიდან გვაქვს საერთოქართველური ენა, ზოგადქართული ოფიციალური (სამწიგნობრო) ენა თუ ქართველთა ესა თუ ის დიალექტი, ამის შესახებ არსებულ ვარაუდთაგან კი ის უნდა ავირჩიოთ, რომელსაც უფრო მეტი ლოგიკური საფუძველი აქვს. ბატონ გ. ქავთარიას მოსაზრებას არავითარი არგუმენტი თუ ფაქტი არ ახლავს; მას უბრალოდ ვერ წარმოუდგენია ქართველთათვის ერთი საერთო ენის არსებობა ისტორიულ ხანაში!

როგორც წესი, მონათესავე ენებისა თუ დიალექტებისთვის ამოსავლად ერთი ენა ივარაუდება. VII–I საუკუნეების ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ეთნონიმები (ფასისი, სარაპანისი, სუანი...) გვავარაუდებინებს, რომ იმ პერიოდში საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნებთან საურთიერთო ენა იმავე სტრუქტურისა იყო, როგორადაც ივარაუდება საერთოქართველური ენა და როგორიცაა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა. 10 საუკუნის წინ მცხოვრები ლეონტი მროველიც კი არ ლაპარაკობს ქართველთა ენობრივ სხვადასხვაობაზე; ქართველთა ენასთან მიმართებაში ის განიხილავს ბერძნულს, სპარსულს, სომხურს და სხვა არაქართველთა ენებს. გარდა ამისა, ვისაც რეალობად მიაჩნია ლეონტი მროველის თხრობა ქუჯისა და ფარნავაზის შესახებ, მისთვის უფრო სარწმუნო უნდა იყოს ქუჯისა და ფარნავაზს შორის ენობრივი ბარიერის არარსებობა.

ბ-ნ გ. ქავთარიას ქუჯის სამფლობელოს სხვაენოვნობის დამადასტურებლად მიაჩნია ამ კუთხის ცალკე საერისთაოდ დასახელება. პატივცემული ისტორიკოსის მოდელს თუ გავყვებით, ლეონტი მროველის მიერ დასახელებულ სხვა შვიდ საერისთავოსაც საკუთარი ენები უნდა ჰქონოდათ?..

როგორც ჩანს, ზოგი ჩვენი თანამედროვისათვის მიუწვდომელია გიორგი მერჩულეს, ლეონტი მროველის და სხვა დიდ წინაპართა სიბრძნე: ენობრივი საზღვრები განსაზღვრავს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰუმბოლდტის ცნობილ ფრაზაზე: კაცობრიობის დაყოფა ერებად სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის დაყოფა ენებად.

პროფესორ გ. ქავთარიას აზრით, „კოლხური ცივილიზაცია და აიეტი სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენენ. ერთი რეალობაა, მეორე მითი. რის საფუძველზე უნდა დავიწყოთ საქართველოს ისტორია აიეტით... ნუთუ აღარ დადგა დრო ზღაპარი და სინამდვილე განვასხვავოთ“.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ ერთმანეთში არ უნდა აურიოს ზღაპარი და მითი; გარდა ამისა, თუ პატივცემული ისტორიკოსი ცდილობს ლეგენდებიდან (ზღაპრებიდან?!) გამოიყვანოს ქუჯი, აიეტმა რაღა დააშავა?

მითები პრეისტორიაა; ყველა ხალხი ცდილობს მითურ-ლეგენდური ისტორიის დასაბუთებას (განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში).

აიეტის შესახებ არსებულ გადმოცემებს არეალურებს ზუსტად იმავე პერიოდის დიდი კოლხური ცივილიზაციის არსებობა, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოში საკუთარი სახელის აიეტის პოპულარობა( გახსოვთ ალბათ ფარტაძი და აიეტი), აფსირტეს სახელობის უძველესი ქალაქის არსებობა და სხვა. ნუთუ ეს ყოველივე არაა საკმარისი საფუძვლები საიმისოდ, რომ ქართველობამ თავიანთი ისტორია კოლხური ცივილიზაციისა და აიეტის მიმართების ძიებით დავიწყოთ?

ბ-ნი გ. ქავთარიას ბროშურა ლეონტი მროველის ინფორმაციის გავრცობაა; ფაქტიურად მხოლოდ ერთ „ახალ“, მაგრამ უარგუმენტო ისტორიულ ფაქტს ასახელებს პატივცემული ისტორიკოსი: თურმე ქუჯის გამეფებისათვის ხელი შეუშლია ეროვნულ ბარიერს! სიტყვა-ფორმა „ახალი“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვით, რომ XXI საუკუნის დასაწყისშიც, XX საუკუნეშიც და XIX საუკუნეშიც ქართველთა არაკეთილმოსურნენი ცდილობდნენ და ცდილობენ ერთიანი ქართველური კულტურა და ეთნოსი დანაწევრებულად წარმოადგინონ: ლაპარაკობენ ქართველების მიერ სხვა ხალხების დაპყრობაზე, ქართული ენის მიერ სხვა „ენების“ დაჩაგვრაზე... და ამ სხვა „ენებს“ უქმნიდნენ და უქმნიან დამწერლობებს, უთარგმნიდნენ და უთარგმნიან ბიბლიას და ა. შ. სწორედ ამგვარმა ხალხმა გამოაცხადა სხვადასხვა ეთნოსებად სვანები, მეგრელები, აჭარლები, ხევსურები, ინგილოები, ლაზები, მესხები, გურულები და ა. შ. სწორედ მათ შექმნეს „ლუშნუ ანბანი“, „მეგრული ანბანი“, ლაზური ანბანი ... სწორედ ეს არამკითხეები არიან ამ კუთხეების და სრულიად საქართველოს მგმობელნი, ვინაიდან ქართველთა საშინაო ენა-კილოების ანუ დიალექტების უმწერლობო ენებად გამოცხადებით ქართველობას უუცხოებენ ქართულ სალიტერატურო ენას, რითაც ამ კუთხეების ქართველობასართმევენ თავიანთი წინაპრების მიერ შექმნილ უზარმაზარ კულტურულ მემკვიდრეობას, მემკვიდრეობას რომელიც იქმნებოდა ეგრისში, სვანეთში, მესხეთში თუ კახეთში სწორედ ზოგადქართული (ქართველური) სალიტერატურო ენით. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ასომთავრული ანბანის პირველი ნიმუშები შემონახულია ლაზთა მონასტერში, ხოლო ერთ-ერთი უძველესი ქართული ოთხთავი შექმნილია სვანეთში. ასე რომ, მეგრელებსაც, სვანებსაც, მესხებსაც, კახელებსაც და თუშებსაც მსოფლიოში ერთ-ერთ პირველებს ჰქონდათ დამწერლობა და სამწიგნობრო ენა, და ეს ენა იყო „ყოველთა ქართველთა“ გამაერთიანებელი ისტორიულ ხანაშიც და დღესაც...

ეს ყოველივე, ვფიქრობთ, უნდა გაითვალისწინოს პატიოსანმა მკვლევარმა და ფრთხილად უნდა იყოს, რომ ნებსით თუ უნებლიეთ თავი უხერხულობაში არ ჩაიგდოს.

ბ-ნ გრანი ქავთარიას დიდ ქართველთა წარმოჩინება აქვს მიზნად, ამდენად, მის მიმართ მადლიერებაც გამოვხატეთ და, ჩვენი აზრით, რამდენიმე დასაზუსტებელ მომენტზეც მივუთითეთ; მეგონა, როცა ადამიანები ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთმანეთის რჩევებსაც გაულიზიანებლად მიიღებენ. ამის იმედს ახლაც ვიტოვებ.

---

# ბატონო ნოდარ, აბა, გაიხსენეთ...

დარეჯან მაისურაძე

ყველასათვის ცნობილია, გასული წლის 9 აპრილს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ გამოაქვეყნა მემორანდუმი. სახალხო ფრონტი ერთ-ერთი იმათთაგანი პარტია გახლდათ, რომელმაც ხელი მოაწერა მემორანდუმს და აღიარა მასში მოყვანილი სამართლებრივი ფაქტორები.

ქართველი ხალხი ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, თავისი ხასიათით მიმტევებელი ბუნებისაა. ამდენად, დღევანდელი ჩვენი ყოფის კრიზისულმა მდგომარეობამ საზოგადოებისათვის თავისებურად მისაღები გახადა მისი ამგვარი პოზიცია, მაგრამ შემდგომ გაოცება გამოიწვია გაზეთ "ქუჯში" (N 3, N 4) გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ ბ-ნ ნოდართან, რომელსაც ქ-ნი მანანა ტაბიძე უძღვება.

ინტერვიუ ძალზედ საინტერესოა დღევანდელობის გადმოსახედიდან, დღევანდელი საერთო პოლიტიკური ანალიზის თვალსაზრისით, სადაც ბევრ უზუსტობასთან ერთად ვხვდებით ნათლად დანახულ სიმართლესაც, მაგრამ უპირველესად ამ ინტერვიუმ ჩემი ყურადღება საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან მიმართებაში უფრო მიიქცია, როცა რესპონდენტს უსვამენ კითხვას: - თქვენ ბევრ ფიგურას შეხვედრიხართ, დადებითსაც და უარყოფითსაც... ვის გამოყოფდით? ბ-ნი ნოდარი თავს არიდებს პირდაპირ პასუხს და უბრუნდება წინა შეკითხვას... საუბრობს დიდხანს, იხსენებს ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლებს... და ბოლოს - "ნუ, რა თქმა უნდა, მერაბ კოსტავას აქ კონკურენტი არა ჰყავს". მეორდება კითხვა - მე გეკითხებით, ვის გამოარჩევდით თქვენი სახელისუფლო მოღვაწეობის პერიოდიდან?

- ყველაზე რაინდად, რაინდად რომ დგას ისტორიაში, ეს არის მერაბ კოსტავა.

- ამ პასუხს ველოდი, მაგრამ მერაბ კოსტავა ვერ მოესწრო ეროვნული მოძრაობის გამარჯვებას, არჩევნებს... და ქ-ნი მანანა იძულებულია პირდაპირ ჰკითხოს: - ბატონ ზვიადზე რას იტყვით?

- ხასიათობრივად ძალიან მძიმე კაცი იყო... ამ ფაქტორმა ძალზედ დააზარალა ჩვენი საქმე.

- თქვენი საქმე?

- ამაზე მე არ მინდა არანაირი ლაპარაკი, ლაპარაკი არ მინდა და არც ვილაპარაკებ, - ანჩხლი ბავშვივით ღიზიანდება ბ-ნი ნოდარი.

ამ დიალოგის წაკითხვისას ჩემს მეხსიერებაში გაიელვა იმ პერიოდმა, როცა გაჩაღებული მიმდინარეობდა ბნელი ძალების მიერ მერაბისა და ზვიადის სახელების დაპირისპირება ერთმანეთთან. ეს 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, ეროვნული ძალების ხელოვნურად განხეთქილების პერიოდიდან დაიწყო. ინერგებოდა აზრი, თითქოს მერაბი იყო უშიშარი, რაინდული ბუნების ადამიანი, მიმტევებელი ყველას მიმართ, ბ-ნი ზვიადის სახელს კი ჩქმალავდნენ, უკანა პლანზე აყენებდნენ. ასეთი მიდგომა მერაბის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგაც გრძელდებოდა და გარკვეულწილად ეს მიზანსაც აღწევდა საზოგადოების ერთი, გულუბრყვილო ნაწილის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში.



აბა, რა იყო ის, როცა, სადღაც, ახალციხის რაიონის ერთ მივარდნილ სოფელში, ერთი უბირი სწორედ ამ აზრს იმეორებდა, როცა თვალითაც კი არ ენახა არც ერთი და არც მეორე, თორემ ჩვენთვის, სრულიად საქართველოსთვის, ეს ორი ბუმბერაზი პიროვნება, ორი უდიდესი რაინდი ყოველთვის განუყოფელნი და სათაყვანებელნი იყვნენ და მუდამ ასეთნი დარჩებიან. თავად მერაბ კოსტავა განსაკუთრებულად დიდ პატივს სცემდა ბ-ნ ზვიადს და საკუთარ თავზე მაღლაც კი აყენებდა მას. ბ-ნი ზვიადი ერთ-ერთ ინტერვიუში მოგონებებისას ამბობს კიდევაც, რომ ამის გამო მერაბს გულისტკივილიან საყვედურებსაც კი ეუბნებოდა თურმე. სწორედ მათი ასეთი დამოკიდებულება ვერ აეტანა სუკს და ათასნაირი ხერხებით ცდილობდა ისინი ერთმანეთისაგან დაეცილებინა, რაც შემდგომ მოწყობილ ავტოკატასტროფაში მერაბის მხოლოდ ტრაგიკულად დაღუპვით მოახერხეს. გავიხსენოთ თუნდაც მერაბ კოსტავას მიერ 1987 წელს დაწერილი ლექსი, მიძღვნილი ზვიად გამსახურდიასადმი "ძმას ქრისტესმიერს", სადაც იგი წერს: "ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი, ვაჰ, თუ ძალები შემომელია, თუმცა მარადში ვარ თანამდგომი, ავთანდილობა ერთობ ძნელია". როგორი თავმდაბლობა, მოკრძალება სჩანს ზვიადისადმი, მეგობრისადმი, რომელთანაც განუყოფელი ჰქონდა ჭირიცა და ლხინიც.

ბ-ნ ნოდარ, ასე მკრეხელურად რატომ დააშორეთ მათი სახელები ერთმანეთისგან. ვეფხისტყაოსნის შემდეგ არცერთ ლექსში თუ პოემაში ასე ძალუმად არ ჩანს მეგობრობის ის დიდი ძალა, ენერგია, სიყვარული, რომელიც ამ ორ ბუმბერაზ პიროვნებას აკავშირებდა ერთმანეთთან. ეს ლექსი ჩვენი დროის შესანიშნავი ჰიმნია მეგობრობისა, რომელზედაც მომავალი თაობები აღიზრდებიან. და ის, ვინც ვერ ერევა საკუთარ თავს და მავანთა დამკვიდრებულ აზრს ამბიციურად იმეორებს, ვურჩევთ კიდევ ერთხელ წაიკითხონ ეს დიდებული ლექსი და პატიება სთხოვონ სამშობლოს ბედუკუღმართობისაგან ისედაც შეჭირვებულ მერაბის მბორგავ სულს.

ბ-ნი ნოდარი სცდება, როცა ამბობს გეოგრაფიულად შევარდნაძისაგან მხოლოდ ნახევარი მეტრიდან 50 მეტრამდე თუ ვიყავი პოზიციურად დაშორებულიო. მას შევახსენებთ 1991 წლის 22-23 დეკემბერს, გეოგრაფიულად მოსკოვიდან, კერძოდ, კრემლიდან 2500 კილომეტრში, ქ. თბილისში, ყაზბეგის ქუჩა N 19-ში მდებარე სახ. ფრონტის ოფისიდან ელდარ შენგელაიას და ავთანდილ იმნაძეს, როგორ გაჰქონდათ სატვირთო მანქანებით იარაღი, რასაც წინ აღუდგა ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდი ნაწილი, მაგრამ უშედეგოდ. შეიარაღებული "დემოკრატები" სახალხო ფრონტიდან უკიდურესი ზომების გატარებით ემუქრებოდნენ მოსახლეობას და "გეოგრაფიულად" ახლო მდებარე მთავრობის სასახლისკენ მიიწევდნენ. მანამდე კი თბილისის ზღვა და შავნაბადა მოიხილეთ, იქ მიიღეთ "სამხედრო წვრთნა".

თბილისში, ყაზბეგის ქუჩა N 19-ში მდებარე სახალხო ფრონტის ოფისიდან ელდარ შენგელაიას და ავთანდილ იმნაძეს, გაჰქონდათ სატვირთო მანქანებით იარაღი და მთავრობის სასახლისკენ მიიწევდნენ



ბ-ნო ნოდარ, აბა გაიხსენეთ, თქვენს მიერ გავრცელებული ჭორებით თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანის დასაცავად როგორ შეძლით მოსახლეობის ამხედრება პრეზიდენტის წინაალმდეგ. თქვენ ცილს სწამებდით პრეზიდენტს 60 გვარდიელის მკვლელობაში. რომ არა ზვიად გამსახურდიას მიმტევებლური ხასიათი, თქვენ სახელმწიფოს მეთაურის მიმართ გავრცელებული ბრალდებისათვის საკადრის საზღაურს მიიღებდით დაუყოვნებლივ. თუნდაც მეორე ცილისმწამებლური პანიკა, რომელიც ატეხეთ თქვენ და თამარ ჩხეიძემ და მეგაფონებით მოუწოდებდით მოსახლეობას გამოსულიყვნენ ზვიად გამსახურდიას "დიქტატორული" რეჟიმის წინაალმდეგ.

ბ-ნო ნოდარ თქვენ შეგნებულად ცდილობთ ბ-ნი ზვიადის როლის მიჩქმალვას; როგორც ზვიად გამსახურდიას სახელს არ ახსენებთ, ასევე თავს არიდებთ ქ-ნი მანანას სახელის ხსენებასა და მის დამსახურებას. თქვენ ამბობთ: "ერთი კი კარგი გააკეთა იქ, გროზნოში. სესიამ მიიღო დადგენილება და ეს დადგენილება დღეს უკვე მუშაობს, რომ ეს ხელისუფლება არის უკანონო და მის მიერ განხორციელებული არც ერთი აქტი არ ჩაითვლება კანონიერად" ... "უზენაესი საბჭოს სესიები ამჟამად რომ მიდის კარგია, რადგან განახლებული ვარიანტი გაკეთდა პარტიების სახელით და ეს ძალიან კარგია" (გაზ. "ქუჯი" N 4).

ამ ფრაზების ფონზე მხოლოდ გაუგებარ სუბიექტურობად უნდა ჩაითვალოს: თქვენს მიერ წარმოთქმული ფრაზა "მანანა არჩვაძის საზოგადოება;" ნუთუ არ იცით, რომ მანანა არჩვაძე "მრგვალი მაგიდის" სპიკერია? მაინც შეგახსენებთ: ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე დიდის ძალისხმევითა და რუდუნებით საფუძველი ჩაუყარა ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების აღდგენას და ამოქმედებას, მოგვიანებით რომლის წევრებმაც იგი ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ. ასევე მან შემოიკრიბა უზენაესი საბჭოს წევრები (1998 წ. 14 ნოემბერს, დევნილობიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, პირველად ჩატარდა თბილისში უზენაესი საბჭოს სესია) და გააგრძელა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ დაწყებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის და კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისათვის; ქ-ნი მანანა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ ერთსულოვნად მრგვალი მაგიდის სპიკერად დაასახელა.

ინტერვიუში ბ-ნი ნოდარი დასასრულს ამბობს: "ინტერვიუ საერთოდაც არ არის ადამიანის შეხედულებათა ფუნდამენტალურად წარმოჩენის ფორმა." (?!) მისი ნათქვამიდან გამოდის, დღეს ასე ვლაპარაკობ და ხვალ შეიძლება სხვანაირად ვთქვა - ე.ი. იგი წარმოჩინდება თავისებური, ჩვეული "ხასიათობრივად არაფუნდამენტური ფაქტორებით".

ბ-ნო ნოდარ, დღეს ის დრო აღარ არის ისევ მრუდე სარკეში ვიყუროთ. ათი წლის წინ დაწყებული ეროვნული, პოლიტიკური მოძრაობის დროინდელი ბავშვები დავაჟკაცდნენ და სრულყოფილი პოლიტიკური გამოცდილებაც კი მიიღეს. საჭიროა გაგვაჩნდეს მხოლოდ ჩვენი მე.

წიგნში "ფიქრები საქართველოს მისიაზე" მერაბ კოსტავა წერს: "მსაჯული სინდისია და ის მაღალი გაგება, სულიერი სამყაროს, ანუ მსოფლიო სიმართლის პოზიციებიდან რომ ჭვრეტს ყოველივე ამსოფლიურს და შენსავე ნამოქმედარში განარჩევს სიკეთეს ბოროტებისაგან, სიმართლეს სიცრუისაგან. იგი შენი ჭეშმარიტი მე-ს გამოხატულებაა".

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

(დასაწყისი წინა ნომერში)

### შალვა ნათელაშვილი: მაშინ რომ პარტიის ლიდერი ვყოფილიყავი, ცხადია, მომეთხოვებოდა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება სისხლისღვრის შეწყვეტისა და კანონიერ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გამართვის თაობაზე



***- ნუთუ არ შეგეძლოთ იმაზე, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, ხმა აგემაღლებინათ, გემოქმედათ?***

- იმაზე, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, მე, ასე ვთქვათ, ჩემს მიერ გამოცემული კანონებით ვიმოქმედე და ამაზე უკვე მოგახსენეთ. გამოვხატე კონსტიტუციაში ჩადებულ სასამართლო რეფორმაში და სწორედ იმ სასამართლოებმა გაათავისუფლეს მაშინ ბატონი ზვიადის მომხრეები.

***- არა, ჩვენ გვაინტერესებს, თქვენ პირადად მაშინ რა მოიმოქმედეთ?***

- გულახდილად გითხრათ, მაშინ მაინცა და მაინც სიმპათიით არ ვიყავი განწყობილი იარაღის ხელში აღებისათვის როგორც შევარდნაძის, ისე ბატონ ზვიად გამსახურდიას მომხრეების. ამ ორმა ძალამ სამოქალაქო ომი გააჩაღა.

*ჩვენი კომენტარი: საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მომხრეები შიშველი ხელებით აღმოჩნდნენ დაპირისპირებულები სისხლისღვრის გამჩაღებელი ამბოხებულების წინაშე, რომლებსაც სასაცილოდ არ ყოფნიდათ პრეზიდენტის უდიდესი ჰუმანურობით გაცემული პასუხი: მათგან ნასროლი ტყვიებისათვის ყვავილების შეგებებაზე. ასე რომ, იარაღში კბილებამდე ჩამძვრალები, მხოლოდ წითელი იმპერიისაგან უზრუნველყოფილი წითელი პუტჩისტები გახლდნენ. აკი ამიტომაც აისრულეს გულში ამოჭრილი და მართალი ქართველების გვამებზე გადავლილებმა, კვლავ ხელთ იგდეს ძალაუფლება. ნაირ-ნაირი არჩევნებისა თუ სხვა მსგავს სანახაობათა ჩატარება-მოწყობა მათთვის ერთგვარი გართობა იყო.*

***- და მაინც, ისევ იმ შავბნელ წლებზე მოგახსენებთ, ბატონო შალვა, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ: დარბეულსა და დახვრეტილ მიტინგებზე, დაპატიმრებულ ადამიანებზე, მათს წამებებზე, პოლიტპატიმრებით ავსებულ ციხე-საპყრობილეებზე... მაშინდელ თქვენს მოქმედებაზე გვაუწყეთ.***

- ამასთან დაკავშირებით, ალბათ, უფრო კარგი იქნებოდა მაშინდელი სტენოგრაფიული ჩანაწერების გაცნობა. გვქონდა, ცხადია, საპროტესტო განცხადებები, მაგრამ, მე მაშინ არ ვიყავი წმინდა გაგებით პოლიტიკური მოღვაწე, პარტიის მოღვაწე. ფაქტიურად, ვიყავი ჩინოვნიკი, რომელსაც უნდა დაეწერა კანონი და დაესაბუთებინა მისი მიღების აუცილებლობა. თანაც, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან უზარმაზარი სამართლებრივი ვაკუუმი იყო შექმნილი და ამის გამო იჭერდნენ ხალხს. ისინიც სწორედ იმით იმართლებდნენ თავს, რომ მათ კანონების მაგივრად დეკრეტები ჰქონდათ.

***- მერედა, გამოგეცათ კანონები.***

- გავაკეთეთ კიდეც საამისოდ ყველაფერი. როდესაც ევროპულ სტანდარტებს გატოლებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა დავასრულეთ, ის სავალალო პრობლემებიც მოიხსნა და ბატონი ზვიადის მომხრეებს უკვე აღარ აპატიმრებდნენ. ის პერიოდი გარდამავალი გახლდათ. ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ნამდვილი ეროვნული შერიგება და ეხლა ერის წინაშე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საკანონმდებლო ბაზას საფუძველი ნამდვილად ჩავუყარეთ.

***- მაშინ თქვენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ბატონო შალვა, ოფიციალურ განცხადებებს გავაკეთებდი უკანონო ხელისუფალთა მისამართით, მათს დანაშაულებრივ ქმედებებზე და იმ გაუგონარ ბოროტმოქმედებათა დაუყოვნებლივ აღკვეთას მოვითხოვდი. ეს კი არ მოხდა. ამიტომაც იქმოდნენ თავისას სისხლისღვრით მოსულები და ჩვენდა სავალალოდ დღესაც აგრძელებენ, ოღონდ ოდნავ შენიღბულ-განსხვავებული მეთოდებითა და ფორმებით.***

- სხვათა შორის, მაშინ საკმაოდ სერიოზული შეხლა-შემოხლები მქონდა "მხედრიონთან". ბატონ ჯაბასთან იმგვარი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, რომ დაჭერით დამემუქრა. ასე რომ, ვიბრძოდი, ვმოქმედებდი. გარწმუნებთ, რომ მაშინ "მხედრიონთან" დაჯახება შუბლის კედლისათვის მიშვერას ნიშნავდა. ყველას ვეწინააღმდეგებოდი – პიროვნებასა თუ პარტიას, ვისაც საქართველოს ქაოსის გზით წასვლა, სისხლისღვრა სურდა. მაშინდელი ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩემგან გაკეთებულის გათვალისწინებით, საკუთარ სინდისთან სრულიად მართალი ვარ. მაგრამ, მაშინ რომ პარტიის ლიდერი ვყოფილიყავი, თავისთავად ცხადია, მომეთხოვებოდა: აქციების, მიტინგების ორგანიზება; საპროტესტო გამოსვლები სისხლისღვრის შეწყვეტაზე; კანონიერ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გამართვაზე და სხვა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, როგორც სახელმწიფო მოხელეს, ჩემი საქმე მქონდა, თანაც ძალზე შრომატევადი.

***- კარგით. აქამდე ჩვენგან თქმულსა და დადგენილ-დაუდგენელს, 2000 წლის 27 სექტემბერს, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის მიერ ე.შევარდნაძის, ი.ბათიაშვილისა და ა.სანებლიძის მონაწილეობით მოწყობილი დისკუსიის ფრაგმენტი გვინდა დავუმატოთ. იმ საღამოს "პრეზიდენტმა" სრულიად საქართველოს განუცხადა, რომ 1993 წლამდე საქართველო, როგორც სახელმწიფო, თურმე არ არსებულა, რომ ქვეყანას არა ჰყავდა ხელმძღვანელი, მთავარსარდალი, რომ მმართველობას თურმე ცნობილი ოთხეული ახორციელებდა.***

- სამწუხაროდ, საქართველო, როგორც სახელმწიფო, კლასიკური გაგებით დღესაც არ არსებობს. ეს შევარდნაძისა და მისი გარემოცვის ბრალია.

***- ამაში სრულიად გეთანხმებით. მაგრამ, მაინც ჩვენს შეკითხვას გავაგრძელებთ. თუკი დასახელებულ წლამდე საქართველო სახელმწიფოს არ წარმოადგენდა, მაშინ როგორ ჩატარდა "არჩევნები"?***

- რასაკვირველია, ამისი თქმა არაფრად არ შეიძლებოდა, ეს ხომ სისულელეა. სახელმწიფო არსებობდა ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების დღიდან.

*ჩვენი კომენტარი: მაშასადამე, შევარდნაძის ეს განცხადება თავისთავად ამტკიცებს, რომ 1992 წელს ჩატარებული "არჩევნები" უკანონო იყო, ისე როგორც სხვა მომდევნო დანარჩენებიც.*

***- ბატონო შალვა, შევარდნაძის თქმით, არარსებული სახელმწიფოს "პარლამენტის" მიერ მიღებულ უამრავ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთ დანაშაულებრივზე გვინდა გკითხოთ, რომელსაც თქვენც, კომისიის თავმჯდომარემაც შეუერთეთ ხმა. მიხვდით ალბათ, საქართველოს დსთ-ში შესვლაზე, წითელი იმპერიის უმძიმესი და მონური უღლის კვლავაც დადგმაზე რომ მოგახსენებთ. მართლაც განუზომელი უბედურებაა ის, რომ ე.წ. პარლამენტი, ხალხის დაუკითხავად მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ქვეყანას დაუნანებლად იმეტებს დასაღუპავად.***

- ეს იყო სავსებით გამართლებული გადაწყვეტილება. ხელისუფლებამ მაშინ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ საკუთარი სკამების შესანარჩუნებლად ერთდროულად შეეკრა რუსეთსაც და ამერიკასაც. ერთდროულად თამაში დაიწყო ორ ზესახელმწიფოს შორის. ხოლა, ჩვენ უკვე ისე ვიჭყლიტებოდით, რომ თუკი დსთ-ში არ შევიდოდით, საქართველო რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშლებოდა.

***- დაიშალა კიდეც: აფხაზეთი, სამაჩაბლო. იქ უკვე პრეზიდენტები ჰყავთ. იგივე ჯავახეთი სადაც არის, ამის სურვილს ოფიციალურად გვამცნობს. გავიხსენოთ იქაური მოსახლისაგან შევარდნაძისთვის გამოგზავნილი წერილის შინაარსი. გავიხსენოთ იქაური მოსახლეობის შეურაცხმყოფელი წინააღმდეგობის გაწევა ქართველი სამხედროებისათვის და მათი სამარცხვინოდ უკან გამობრუნება... ყველაფერ ამაზე რას გვეტყვით?***

- დაწყებულ პასუხს გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ დაშლის შედეგად წარმოიქმნებოდა სამეგრელოს, იმერეთის სახელმწიფოები, აჭარა, ჯავახეთი... დამერწმუნეთ, როკის გვირაბთან საბაჟო იქნებოდა გახსნილი. და ეს ყველაფერი რუსული ტანკების საშუალებით განხორციელდებოდა. ერთადერთი, რითაც შესაძლებელი გახდებოდა რუსის დაოკება-დამორჩილება, საქართველოს საბოლოოდ დაქცევის თავიდან აცილება, მხოლოდ დსთ-ში გაწევრიანებით მოხდებოდა. დსთ წარმოადგენს საერთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციას, სწორედ ისეთს, როგორებიცაა ნისეკი, ევროსაბჭო, რომლებშიც ჩვენ გავწევრიანდით. სხვათაშორის, ევროსაბჭოს უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს, იქიდან უფრო გვეზღუდება სუვერენიტეტი, რადგან ხშირად ჩამოდიან შემოწმებაზე, ყველაფერს მკაცრად მოითხოვენ და გულდაგულ ამოწმებენ. მაშასადამე, დსთ ის ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უშლის იმპერიის აღდგენას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმიტომ, რომ მის წესდებაში პირდაპირ წერია: "იკრძალება ზეეროვნული სტრუქტურების შექმნა დსთ-ს შემადგენლობაში."

***- მაგრამ, ეს ყველაფერი ქაღალდზე. სინამდვილეში დსთ სახელნაცვალი საბჭოთა კავშირია, უფრო სწორედ მისი უკიდურესად გაუარესებულ-დამახინჯებული წარმონაქმნია. რუსი სალდაფონის ჩექმა კიდევ უფრო მეტი დაუნდობლობით თელავს "დამოუკიდებლობა მოპოვებულსა და განთავისუფლებულ" კოლონიებს.***

- ამაში ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგეთანხმებით. ჩვენ რუსეთისა კი არა, ჩვენი

> **ამ ხელისუფლებამ მაშინ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ საკუთარი სკამების შესანარჩუნებლად ერთდროულად შეეკრა რუსეთსაც და ამერიკასაც. ერთდროულად თამაში დაიწყო ორ ზესახელმწიფოს შორის**

კორუმპირებული ხელისუფლების უღელი გვადგას. დსთ-ს წევრები არიან უკრაინა და აზერბაიჯანი. განა ისინი დამოუკიდებლები არ არიან?

***- ვფიქრობთ, უკრაინის სადღეისო მდგომარეობა კარგად უნდა უწყოდეთ პატივცემულო თავმჯდომარევ. აზერბაიჯანზე კი იმას ვიტყოდით, რომ იქ რუსის ჯარი არა დგას.***

- გეტყვით, რომ რუსეთის ჯარი და დსთ სულ სხვადასხვა რამეა. დსთ არ ითვალისწინებს რუსეთის ჯარის ჩვენთან შემოყვანას. ის აქ დგას იმ პარაფინირებული ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც შევარდნაძემ და გრაჩოვმა მოაწერეს ხელი.

*ჩვენი კომენტარი: ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ყველასთვის ცნობილია. იგი სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რუსთაგან საბოლოოდ თავის დასაღწევად კვთდება. რუსი იმპერატორისაგან გაპრეზიდენტებული წითელი კუჩმას მოსაშორებლად უკრაინელები თავგანწირულები იბრძვიან და დარწმუნებულები ვართ, აუცილებლად გაიმარჯვებენ. რაც შეეხება რუსული ჯარისგან დაცლილ აზერბაიჯანს, რუსთაგან გამაგრებული იქაური "პრეზიდენტის" წყალობით, არც იქა ქრის სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიო. ისე, როგორც დსთ-ს წევრ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. დსთ-სთან შედარებით უფრო "უარესსა" და მომთხოვნ ევროპის საბჭოზე კი ვიტყვით, რომ ვგონებ დღემდე ჯერ მის არცერთ წევრ სახელმწიფოს არ ჩაუყენებია საკუთარი ჯარი საქართველოში და არც აქაური ტერიტორიები მიტაცება-მითვისება უცდია.*

***- ჩვენ მაინც ჩვენსას გეტყვით, ბატონო შალვა და არა მარტო ჩვენსას. საქართველოს მოსახლეობის აზრს მოგახსენებთ: რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დსთ-ში შესვლამ დაგვაკარგვინა და დღემდე ამ ურჩხულ-წარმონაქმნის სულის ჩამდგმელისა და გამგებელი რუსული იმპერიის კლანჭებიდან ვერ დაგვიხსნია თავი.***

- ჩვენ რომ დსთ-ში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვამდე შევსულიყავით, დღეს სულ ცოტა გუმისთაზე ვიდგებოდით. აი, რაშია ამათი სიბეცე და გონებაჩლუნგობა. უფრო მეტსაც ვიტყვი: ბატონ ზვიადისათვის მისი გარემოცვის ზოგიერთ ავადმყოფ პიროვნებას დსთ-ში შესვლის უფლება რომ მიეცა, იგი ამას გააკეთებდა და დღეს ცოცხალი, პრეზიდენტი იქნებოდა.

***- არა. ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, ბატონო თავმჯდომარევ. ნუ წარმოვაჩენთ ბატონ ზვიადს მორჩილად, საკუთარი აზრ-გადაწყვეტილების უქონელ პრეზიდენტად. განა ჭეშმარიტმა ქართველებმა არ ვიცით, რომ დსთ-ში შეუსვლელობის გადაწყვეტილების მიღება უზენაეს საბჭოში ამ საკითხის განსჯა-განხილვისა და პრეზიდენტის თანხმობის მიღების შედეგ მოხდა და ალმა-ათაში არ გაემგზავრა. სწორედ ეს ვერ აიტანა სატანასთან წილნაყარმა ჯალათმა გორბაჩოვმა და საქართველოში გადატრიალების მოწყობა ბრძანა.***

- დიახ, მეც იგივეს გეტყვით: სწორედ ალმა-ათაში გადაწყვიტა გორბაჩოვმა ქართველი პრეზიდენტის დასჯა.

***- მაშასადამე, დსთ-ში შესვლას სრულიად გამართლებულად თვლით?***

- დიახ. ამ გადაწყვეტილების მიღება და დსთ-ში შესვლა მაშინ სრულიად გამართლებული იყო.

***- დღესაც ამ აზრისა ბრძანდებით?***

- დღეს ამას ვუყურებ როგორც ტრიბუნას, საიდანაც შეიძლება რუსეთის რეაქციული ძალების იზოლაციაში მოქცევა და მისი უმცირესობაში ჩაკეტვა. დსთ-ს დანარჩენი წევრები ხომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები არიან. სწორედ მათთან მუშაობით შეიძლება რუსეთის ამ მდგომარეობაში მოქცევა, ისეთი საკითხების გატანა და გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც რუსეთს არ აწყობს. მაგრამ, ამაზე არავინ არ მუშაობს.

*ჩვენი კომენტარი: არც იმუშავებენ და ამ მიმართულებით არაფერს არ გააკეთებენ. ამგვარად რომ გაისარჯონ, მაშინ რუსთაგან ბოძებულ სკამებს უნდა გამოემშვიდობონ. რაც შეეხება ბატონ ზვიად გამსახურდიას დსთ-ში შესვლის "სურვილს", ამაზე ვერაფრით დაგეთანხმებით ქართველ ლეიბორისტთა თავკაცს და პასუხს დიდი კონსტანტინესგან თქმულით გაგცემთ: "თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგაც იგი თავად იბრძოდა".*

***- 1991 წლის მიწურულსა და 1992 წლის დასაწყისში საქართველოს არნახული უბედურება დაატყდა. რუსეთის დახმარებით მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო ეროვნული ხელისუფლება, პრეზიდენტი, ქვეყანამ დაკარგა თავისუფლება. ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიას თქვენი კომისია არ გამოეხმაურა და "პარლამენტისგან" მისთვის შეფასების მისაცემად არაფერი იღონა.***

- ამას კომისია ვერ შეაფასებდა. ეს საკითხი კიდევაც რომ დაგვეყენებინა, იმ კომისიის წევრები ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც გადატრიალებაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

*ესაუბრა გელა ჯალაური*

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## „ქუჯის“ ფოსტა

# ქუთაისური ქრონიკა

2001 წლის 14 მაისს ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრში 23-ე საშუალო სკოლამ შეხვედრა მოუწყო პოეტ მუხრან მაჭავარიანს. ქალაქში ჩამოსული პოეტი პირველ რიგში გულთბილად მიიღო იმერეთის მხარის რწმუნებულმა ბ-ნმა თ.შაშიაშვილმა. შემდეგ სტუმარ-მასპინძლები ფეხით გაუყვნენ გზას მწერალთა სახლისაკენ, სადაც მათ ხელგაშლით შეხვდნენ ქუთაისელი მწერლები და მათი თავკაცი ბ-ნი თ.ლანჩავა. 16 საათ-ზე თეატრში გამართულ მ.მაჭავარიანის პოეზიის საღამოს მრავალი ქუთაისელი დაესწრო. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ბ-ნი მუხრანის ლექსების მიხედვით შესანიშნავად დადგმული სპექტაკლი. საღამოს პოეტის საპატივცემულოდ გაიმართა სუფრა, რომელსაც თამადობდა ბ-ნი თ.ლანჩავა.



ხალხის პატივისცემა მუხრან მაჭავარიანის პოეზიისადმი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ბოლო წლებმა ქუთათურები ფრიად დააბნია...

ზემოთ აღნიშნული ფაქტის გამო ქუთაისელთა დიდი ნაწილის კომენტარის მიხედვით გავაგრძელებთ თხრობას:

ორი წლის წინ, „საარჩევნო“ „ქორიზონტის“ დროს, სატელევიზიო გამოსვლაში ბ-ნმა თ.შაშიაშვილმა მუხრან მაჭავარიანის მისამართით განაცხადა: „რა პოეტი უნდა იყოს კაცი, რომელიც დგას იმ კრიმინალური ხროვის გვერდით, როგორიცაა „აღორძინება“ და რომლის თანაგუნდელია ბანდიტი შალიკიანი. როგორ უნდა თანამშრომლობდეს მართალი პოეტი იმ გაერთიანებასთან, რომელიც ანგრევს საქართველოს ეკონომიკას და რომლის სახელითაც კენჭს იყრის მაფიოზი შალიკიანი? (თუკი შალიკიანი ასე საშიში იყო, რატომ არ დაიჭირეს იგი არჩევნებამდე, ან არჩევნების შემდეგ?) მაშინ შალიკიანს მუხრან მაჭავარიანის საჯარო მხარდაჭერა არჩევნებში ვერ გაამარჯვებინა, მაგრამ ხალხი მართლა დააფიქრა: რა აქვს საერთო პოეტს პუტჩის შემდეგ საეჭვოდ გამდიდრებულ კაცთან? როგორც ამბობენ, შალიკიანის მხარდასაჭერად ჩამოსულმა პოეტმა შალიკიანის ფინანსებით გამოცემული თავისი წიგნი გაუგზავნა გუბერნატორს; მაშინ, მან იგი არ მიიღო და უკან დაუბრუნა...

**თ. შაშიაშვილმა მუხრან მაჭავარიანის მისამართით განაცხადა: „რა პოეტი უნდა იყოს კაცი, რომელიც დგას იმ კრიმინალური ხროვის გვერდით, როგორიცაა „აღორძინება“ და რომლის თანაგუნდელია ბანდიტი შალიკიანი.**

დიამეტრულად შეიცვალა სიტუაცია წელს:

—ქუთაისის ფეხით შემოსულს მუხრან მაჭავარიანი შაშიაშვილის კაბინეტიდან იწყებს; თეატრის შენობაში გამოსვლისას კი გუბერნატორი საქართველოს უდიდეს პიროვნებად და პოეტად მოიხსენიებს მუხრან მაჭავარიანს...

საზოგადოებას ისიც ვერ გაურკვევია, თუ პუტჩით განდევნილი კანონიერი ხელისუფლების დეპუტატი მუხრან მაჭავარიანი რატომ გახდა პუტჩისტთა მემკვიდრე პარლამენტის წევრი.

ქუთაისელთა კომენტარების მესამე თემა ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თეიმურაზ ლანჩავა იქცა: მართალია, იგი, როგორც მწერალი მწერალს უნდა მიგებებოდა, მაგრამ როგორ აგვხსნათ ის ფაქტი, რომ ლიტერატურულ გაზეთ „უქიმერიონში“ (2001 წ. მარტი) მის მიერ გამოქვეყნებულ წერილში „ჭირი კარზეა, მომდგარი“ ლაპარაკობს „ზვიადიზმის მძვინვარებაზე,“ ორიოდე თვის შემდეგ კი ქუთაისური სიტყვაურთიერთობით თამადობს ბ-ნ მუხრანისადმი მიძღვნილ სუფრას (სადაც ბ-ნ გუბერნატორიც ბრძანდებოდა)... ეტყობა, თ.ლანჩავაც აღარ თვლის მ.მაჭავარიანს გამსახურდიას მომხრე პოეტად.

დაბნეული საზოგადოება კითხულობს, რატომ გვაყრიან თვალში ნაცარს?!

*ჩვენი კომენტარი: არც დღევანდელი ქუთაისია პარადოქსების ქალაქი და არც საქართველო. ყოველივე ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მიეცა შეფასება, როცა ითქვა: ზოგიერთი ქართველნი "ირწევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა" ანუ გარემოებისდა მიხედვით იცვლიან ფერსა და პოზიციას. ხალხი, თითქოსდა მეხსიერებადაკარგული, დამორჩილებს აწმყოს ულაზღოში ბიბლიური მოსეს თაობის მსგავსად. პოლიტიკური პური კი პარპაშებს წინასაარჩევნო მარათონში... ჩვენ პოზიციათა დაახლოების და ქართველთა გაერთიანების მომხრე ვართ; ამავე დროს, ღრმად გვჯერა რომ, ეროვნული სახელმწიფოებრივი სულისა და სხეულის გამთლიანება მოხდება წარსული შეცდომების აღიარების, მონანიებისა, მიტევების და კონკრეტულ პრინციპულ საკითხებზე შეთანხმების შემდეგ. პოლიტიკაში მყოფ ადამიანთა მიერ უპრინციპო პოზიციების წარამარა ცვლით ვერც ქვეყანა აშენდება, ვერც ერი გამთლიანდება და კარგი პოეტებიც, მეცნიერებიც და სხვებიც, უფრო და უფრო დაკარგავენ თავიანთი ნიჭიერებით მოპოვებულ სახელებს...*

**სოფიო კაშმაძე**

**ირმა ჩხეიძე**

# ჯერ სადა ხართ, დევნილნო!

მიწდორში დაგდებულ თავის ქალაზე შემდეგი წარწერა იყო: ჯერ სადა ხარ, რაც ამიერიდან დაგემართოს, ის იკითხე. ამაზე უარესი რაღა უნდა მოუვიდეს - გაუკვირდა გამვლელს და ფეხი ჰკრა ჩონჩხს. ქალამ იგორა, იგორა, საკირეში ჩავარდა და დაიწვა.

თბილისში განთავსებული ოთხმოცდაათი ათასი დევნილი ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ „სამოწყალოდ“ გადმოგდებული 12 ლარის ასაღებად ქალაქის სხვადასხვა რაიონებშია განაწილებული.

ლტოლვილთა უმრავლესობა დამცირებულად და განადგურებულად გრძნობს თავს, რაც კი გააჩნდა, უსამართლოდ წაართვეს, შეუბღალეს თავმოყვარეობა, თითქოს, დაქვეითდა ინტელექტუალური დონე. საშინელებაა, მაგრამ თითქმის გამათხოვრებულთ შიში ჩაუსახლდათ სხეულში და იმ 12 ლარს ჩაებღაუჭნენ.

უკვე ორი წელია, რაც საშინელი რიგებია სალაროებსა და ბანკებში. განსაკუთრებით მწვავე სიტუაციაა ნაძალადევის რაიონში. ის თანხები, რომლებიც მოცემის მაგიერ მიითვისა მთავრობამ და რის გამოც ჯერ კიდევ არავინ დასჯილა, არსად ჩანს. ეს ფაქტი კიდევ არაფერია, შემაძრწუნებელი ის არის, რაც იქ ხდება...



ისედაც გამწარებული ხალხის ფსიქიკაზე კიდევ უფრო თამაშობენ, მაგალითად, მიმდინარეობს თანხის გაცემა და უცებ გამოაცხადებენ, ფული აღარაა, დაიშალეთო. სწორედ ამიტომაა, რომ ლტოლვილები ერთმანეთს ასწრებენ ფულის აღებას და იმართება ზედახორა, რომელსაც ძალზე სავალალო შედეგები მოაქვს: გულშეწუხებულები ერთმანეთზე მიყოლებით გამოჰყავთ, გისოსებჩაფერებული ხალხი კვლავ მთელი ძალით ცდილობს წინ წასვლას და სათანადო თანხის აღებას.

ერთ დღეს კი სრული საშინელება დატრიალდა: მარტის თვეში, ნაძალადევის რაიონში დილის ოთხი საათიდან ელოდნენ შემწეობის თანხის დარიგებას. არ იქნა და საშველი არ დაადგათ. დღის პირველი საათიდან ქუჩის გადაკეტვა მოინდომეს, მაგრამ... პოლიციელთა მანქანა შემოვარდა ბრბოში და ერთ-ერთ ქალს ფეხებზე გადაუარა. არავის გაუჩერებია, კიდევ იმას ეუბნებოდნენ - თქვენ გზის გადაკეტვის უფლება არა გაქვთ, აქაურებს ხომ არ უტოლებთ თავს, დევნილები ხართო.

დღის 2 საათი იყო, როცა ფული მოიტანეს, მაშინ კი ნამდვილად აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. წივილ-კივილსა და ორომტრიალში ადამიანები წამდაუწუმ გულშეწუხებულნი ცვიოდნენ ძირს. მათ იმავე კარიდან უწევდათ გამოყვანა, რომლიდანაც შევიდნენ თანხის ასაღებად, ეს კი დიდ სირთულესა და ბრძოლასთან იყო დაკავშირებული, არადა, ნამდვილად იყო შესაძლებელი, სხვა კარიდან ყოფილიყო გასასვლელი. მაგრამ აშკარაა, ვიღაცას ხელს აძლევდა ასეთი ვითარება. მადლობა ღმერთს, მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ვინ იცის, რა გველოდება,... ჩვენთვის, ადამიანებისათვის სიმართლისათვის, აფხაზეთისათვის ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს მთავარ მიზანს და არა 12 ლარი.

დღეს რომ მოსახლეობის ნაწილს საკუთარი სახე აქვს დაკარგული, ეს ხომ ლეგიტიმური მთავრობის ბრალია, განა მათ არ აძლევთ ხელს მდგომარეობის ასეთი დაძაბულობა? ისინი ხომ თავს არ იწუხებენ ჩვენი ღირსებისათვის.

ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვემართოს, მაგრამ, თავის ქალისა არ იყოს, ფაქტობრივი მთავრობის ხელში ჯერ სადა ვართ, დევნილნო?!

**ავტორი ერთ-ერთი მრავალთაგანი**

# ორი რუსეთი

რუსეთ-საქართველოს აფხაზური ომობანას გახურებული თამაში იყო. სარკინიგზო მაგისტრალების გამო დანთებული კოცონი ქართველთა სავალალოდ, გამანადგურებელ ხანძრად აბრიალდა, ყოვლისშემძლე მსოფლიო დონის პოლიტიკოსი გვპირდებოდა: „ომს ღირსეულად დავამთავრებო, სოხუმს ცოცხალი თავით არ დავტოვებო, მაგრამ... ჩვენი „ლაშქარი“ თავის მთავარსარდლიანად სამარცხვინოდ იქნა ოტებული მტერთაგან; გენერლიან-ჯარისკაციანად ბრძოლის ველიდან ვინ ვის ასწრებდა კაცისშვილი ვერ გაარჩევდა.

იმ გაგანია ომობანას დროს ჩვენი ტელევიზიები ათასგვარ შოუ-გასართობებს, ფესტივალ - კარნავალებს გვთავაზობდნენ ეკრანებიდან. მეომარი ქვეყნის შვილებს ანტალიებსა და კანარის კუნძულებზე გვეპატიჟებოდნენ. მარცხს მარცხი მოსდევდა,



იხოცებოდა ბრალიანი და უბრალო, ალალი და ყალთაბანდი, ულირსი და ღირსეული. მსხვერპლი აურაცხელი იყო. ქვეყანაში ერთხელაც არ გამოცხადებულა გლოვის დღე. სულ სიცილ-კისკისში ჩაგვარებინეს ომობანა.

სიცრუისმფრქვეველი ეკრანებიდან დღე - ნიადაგ ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ჩვენი მტრები აფსუა სეპარატისტები და „ნაიომნიკი“ ფაფხიანი ჩეჩნები არიანო. ნამდვილ მტერს კი კალთაგადაფარებული გვიმალავდნენ. შემდეგ როცა სისხლიანმა ურჩხულმა თავისი კლანჭები სამალავიდანაც გამოაცოცა, შეუძლებელი გახდა ერთმოძღვრე სალდათონის შენიღბვა, ამოღერღეს როგორც იქნა: რუსეთი გვებრძვისო. მაგრამ რუსეთს მსაზღვრელად მეორე დაუსვეს: ჩვენი მტერი მეორე რუსეთიაო, აი სასწაული, მეორე რუსეთი, ელდა მეცა, მეორე რუსეთიო? დიახ, დიახ მეორე რუსეთი, პირველი რუსეთი ელცინის რუსეთიაო და ის ჩვენი მეგობარიაო, მეორე რუსეთი კი მტერიო? ეს მეორე ვილასია ნეტა? ყოფილა კი ოდესმე რუსეთი ორი? ორი გერმანია კი იყო რუსეთის მიერ გაორებული, კორეაც არის ორი, იემენიც ორია, ისინიც რუსთაგან ნაავსაქმნარი. ოსეთიც გააორეს, რუსები მხოლოდ სხვებს ხლეჩენ და აორებენ, თავიან თავს კი აროდეს.

ვიყავ რუსეთში, თვით მოსკოვ ქალაქშიც, პირველსა და ერთადერთში. არავის უთქვამს მაშინ: ეს პირველი რუსეთიაო. ახლა ეს მეორე რუსეთი საიდან გამოგვიტყვრა?! ჩვენში წიქარა რომ აქვს წაკითხული ნახევრად მაინც და გლობუსისთვის ერთხელ რომ მოუკრავს თვალი, მანაც კი იცის ერთადერთობა რუსეთისა. დედამიწაზე ყველამ იცის, რომ არსებობს ერთი ტევა და ერთი ნიკარაგუა, ორი რუსეთი კი არავის სმენია, თვით რუსებსაც კი, წარმოდგენილი მაქვს, როდესაც გაიგებდნენ საქართველოს პრორუსულმა ხუნტამ მეორე რუსეთი აღმოაჩინაო, რა დაემართებოდათ.

აი, ხათაბალა! მის დღეში რუსეთი ერთი იყო „ახლა რა დოზანამ გააწყვილა? ერთი იყო რუსეთი მუდამჟამს, წყალი არ გაუვა ამას! მართალია, დროდადრო მას ხან ცრუ დიმიტრი ეპატრონებოდა, ხან გოდუნოვი, ხან ბაგრატიონის ნაცუღლუტარი, ხან კატერინა და ნიკოლაი, ერთ ხანს იმ ჩვენი ცოდვით სავსე სოსელომაც იგდო ხელთ, ჩვენდა ამოსაგდებად და მოსათხრელად.

ბორიას რუსეთი ჩვენი მეგობარიაო (როგორც პავლეს რუსეთი იყო ჩვენი გადამრჩენელი) ჩაგვჩიჩინებდნენ დღენიადაგ, ახლა კი რომლის რუსეთს მოუბრუნდა ის დასამიწებელი მარჯვენა ჩვენდა სამტროდ, ჰა? ორასი წელი სულ



ჩვენს სიყვარულსა და მეგობრობაში იდაგებოდნენ, მასთან დეკაბრისტებსაც ჩვენი სიყვარულით აღარ ეძინათ, მეფეებისა და ილიჩის რუსეთსზე ხომ ზედმეტია საუბარი. ახლა რამ უქციათ მხარი „ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობისას, ახლა მტრობა გაგონილა? ამ უშველებელი გლობალიზაციის ეპოქაში ერთაშორისი შუღლი და მტრობა შეიძლება?

გადავქექე რუკები და ატლასები, ძველები და ახლები, ვჩიჩქნე და ვძებნე, ვერ ვნახე ვერსით. თვალის ჩინი ჩამიქრა, ვძებნე დღისით და ღამით. იმ სულგანათლებული აკაკის დანაბარები სულიკო საუკუნეა ვერ ვიპოვეთ და მეორე რუსეთი ასე უცებ სად მოვნახო.

მეორე რუსეთი - ჩვენი მტერი მეორე რუსეთი! მტერს და ორგულს რა გამოლევს, ყვავ-ყორნებად გვახვევია გარს, ყველანი ვიცით, კარგახნის ნაპოვნი გვყავს, გვარსა და სახელსაც დავასახელებდი, მაგრამ აჰ! არა! ეწყინებათ! გული მოუვათ, გვეკადრება ეს ჩვენ? ერთხელ შევცდით, რაც მართალი მართალია, იმ „დიქტატორმა“ პროვინციელმა ფაშისტმა გამსახურდიას კი მიახალა ურცხვად ეროვნება, დაკარგულ დიდ დისიდენტს სახაროვად წოდებულს სიმართლე და მაშინ რა სირცხვილიც ვჭამეთ, კი გვახსოვს. ახლაც გადავიხსათ კიდევ თავს ლაფი პუტინთან? არ გვეკადრება ეს ჩვენ. რა უშავს თუ ხანდახან მისი შვეულმფრენები ბრილიანტებად გვაყრის ჭურვებს ფშავ-ხევსურეთში, ამოვიღეთ ამისათვის ხმა? ვაწყენინეთ? შევკადრეთ რამე? ვინ მამაძაღლი!

დაღლილ-დაქანცული, თვალებდაოსებული ჩამოვჯექი ღობის ძირას და ჩვენებურად ჩონგურზე დავამღერე (რა მემღერებოდა მე თავმკვდარს მაინც!) ხალხური პოპური:

„გეძებე და ვერსად გპოვე,
ოდელია რანუნი“

გულგაპობილს მეორე რუსეთის ძებნით ამოღამებულ თვალებს მდუღარე ცრემლები მიფუფქავდა.

ოოხ, მეორე რუსეთი, რა აღმოაჩინა მაინც „ჩვენმა“ ხელისუფლებამ? არადა, საქართველოს მთავრობის ტყუილი გსმენიათ? არც მსოფლიო დონის პოლიტიკოსის ქოსატყუილობას მოსწრებივართ! ხომ გვეუბნებოდა ესენგეში არ შევალთო, არც შევსულვართ! დაჩოქილი ფორხით შეგვათრია იმ მეორე რუსეთმა.

**ალეკო სანდუხაძე**

ჩვენი რწმენა

# ძალაუფლება და თავისუფლება

მთავარეპისკოპოსი იოანე (შახოვსკი)

როდესაც ქრისტიანი ამა ქვეყნის ხელისუფლებას რაიმეს უამბო აღიარებს, ის აღიარებს არა თავად ბუნებას ამ ღვთისგან დაწესებული ხელისუფლებისა, არამედ იმას, რაც უფლისაა მასში – ანუ რაც არ არის საშინელებანი და ღვთისმსახური. სწორედ ამაში მდგომარეობს არსი დამოკიდებულებისა, რომელიც სრულიად განსხვავდება ხელისუფლებისადმი ანარქიული, თვითნებური ან მონარქისტული დამოკიდებულებისაგან. სამწუხაროდ, კაცობრიობას ჩვეულებად აქვს ან მონის და ჩირუბის თვალთახედვით მოეკიდოს ყოველგვარ ძალას, ან კიდევ, პირიქით, ეგოცენტრული სიჯიუტით უძლევდეს ნებისმიერ ძალაუფლებას და საერთოდ, ხელისუფლების ბუნებას. ოდეს მოციქული ამბობს: „რომელი აღდგომილის ხელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა აღუდგების... (რომ. 13,2), ამ სიტყვებით გულისხმობს მარტოოდენ ხელისუფლების ნიჭსაამდგენ მიმართული ბრძანებას და ეგოცენტრული ბრძოლას და ასევე ხელისუფლების, როგორც ასეთის, წინააღმდეგ მეტობას. თუკი ადამიანი ფეხქვეშ გათელილი ღვთის კანონების აღსასრულებლად ბრძოლაში ამა თუ იმ ხელისუფლების უსამართლობით გაუქმებულ სიკეთის აღიარებს, ამით ის დაიცავს თავად სახეს ხელისუფლებისას, რომელიც ღვთივ მონიჭებული დადგენილებას წარმოადგენს და რომელიც ღმერთმა დაადგინა ქმნადა სიკეთისა და არა ბოროტებისა.

ძალაუფლება ადამიანებს მიეცათ ღმერთისა და კაცთა მსახურებისათვის, მათი ქვემდებარე თავისუფლების სამსახურებლად და არა ღმერთის წინააღმდეგ სავალი გზების აღსაშენებლად და ადამიანებზე გასაბატონებლად. პირველი ამბოხელი ხელმწიფება, რომელიც ადამიანზე ღმერთის მიერ იქნა დაწესებული, გახლავთ მშობელთა ხელმწიფება შვილთა თავისთა ზედა. მაგრამ მონიჭებულია, არა მხოლოდ დამორჩილება ამ ხელისუფლებას, არამედ პატივი სცეს კიდეც მას, რამეთუ ნათქვამია: „პატივი – ეც მამასა შენსა და დედასა შენსა". თუმცა ამ მცნებას გამონაკლისიც ახლავს, არის შემთხვევები, როცა ადამიანის შვილთა და ვალდებულია კიდეც დაარღვიოს ეს მორჩილება, თუკი ის რაიმე საუკეთესო მოთხოვნებს უპირისპირდება თავისი. რამეთუ არ დაარღვევს უპირატეს სიყვარულის ღვთისა: „მორჩილება გერ არს ღმრთისასა უფროის, ვიდრე კაცთა" (საქმე 5,29) – ამბობს წმინდა წერილი. მაგრამ თუკი სასიკეთო შედეგებთან ადამიანს მშობელთა სიყვარულისაგან და ბუნებრივი ძალაუფლების უარყოფაც კი შეუძლია, მაშინ რაოდენ მეტი უფლება აქვს მას „სახელმწიფოს" და უარყოფდეს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ღმრთის მორჩილების გზაზე ელობება და ეშმაკისეულის საავალ გზას უკვალავს ქრისტიანს.



ეხლა გავიხსენოთ, რომ ამა სოფლის ნებისმიერ ძალაზე მაღლა ღმერთის ძალა დგას და ნება სხვებს ყოველთვის და მხოლოდ ამ უზენაეს ძალას ხელეწიფება დასაჭედ ან აკურთხოს ამა სოფლის ესა თუ ის მოვლენა. რის შემდეგაც უფლის მიერ გამოვლინდება თავისუფლება კაცისა და მისი ისტორიისა.

ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ხელისუფლება, რომელიც ამ ქვეყანაზე ღმერთის ხელმწიფების უარყოფას ისახავს მიზნად. ვსვამთ კითხვას: ვისი ნებით მოქმედებს ეს ხელისუფლება? რა თქმა უნდა, ადამიანთა და დემონთა ერთიანი ნებით. მაშინ ვისი ნებით არის დამკვიდრებული ასეთი ხელისუფლება ქვეყანაზე? ბოროტ ნებელობას მარტოოდენ დაითმენს და დაუშვებს და, რა თქმა უნდა, არ აკურთხებს ნება ღმრთისა, რომლის გარეშეც არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე, ე.ი. ღმერთი კი არ აკურთხებს, არამედ მხოლოდ დაუშვებს ბოროტებას, რათა ადამიანებში სულიერი სიმახინჯე განკურნოს. ადამიანი მხოლოდ მაშინ ჰპოვებს ხსნას ღმერთში, ოდეს დაინახავს, რომ მის გარეშე ის დაუძლეველი, უძლური და წარმავალია.

ჩვენ ვიცით, რომ ღმერთმა ადამიანის მისცა თავისუფალი ნება, ამიტომ იგი იმასაც დაუშვებს, რომ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი თავისუფლებიდან იქცეს თვითნებობაც. ადამიანის შეცდომა არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის, და ამას უფალი დაუშვებს, მაგრამ ოდეს ადამიანი ამ ორიდან ეშმაკისეულს ირჩევს, მაშინ უფალი ამ არჩევანს აკურთხებს.

მასალა მოამზადეს ლუიზა ხაჩაპურიძემ
თეა ცირამიძემ

პოეზია

**ცირა ჭურაძე ილი** დაიბადა 1962 წელს. 1987 წ. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე იწევა ჟურნალისტურ და პედაგოგიურ საქმიანობას. არის მრავალი სიინტერესო ნარკვევის ავტორი, მათ შორის ვრცელი ნარკვევისა მეორე კოსტავაზე. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „სიმალტის ყვავილები", ზღაპარი „ქრისტესია", რელიგიის დამზადე სახელმძღვანელო ორ წიგნად. გამოსაცემად მომზადებული აქვს პროზაული ნაწარმოები „უკან არ მიიხედო". იყო 1991 წელს დაფუძნებული მწერალთა ასოციაცია „ურანის" პასუხისმგებელი მდივანი. ამჟამად 1999 წელს დაფუძნებული ხელოვანთა კავშირის „მარიოტას" პრეზიდენტია.

### ჩემო ქვეყანავ

დემოკრატიაა, სადა მიგყავს
ქვეყანა ჩვენი?
არისტოფანე

ჩემო ქვეყანავ, ჩავშრეტია თვალში იმედი,
არ გიჩანს აწმყო, არც მყობადი,
წარსულის მიელტვი.
ხელისმომკიდეთ შეგაცდინეს და გაგიმეტეს,
„დემოკრატია" მოგდგომია – ძველი კლიენტი.
დემონისადმი ტრფობა იმათ გულებს მოედო,
ტირანთან ერთად მოიწვიეს თვითონ მუზებიც
და, ჩემო კარგო, შენზე გავრით კარის პოეტებს
არ ასვენებდნენ ძილში მუზები.
მტერს თავს დაუკრდა – ბოიიობდა
შენი არწივი,
კოლმეურნეობრულს ამაგებენ, შენც
აღარ – ჩივი,
არც ამორძალობ, აღარა ხარ
ტურფა ქალწულიც.
მშიერი ხარ და ჩამობრძანებული.
ჩემო ქვეყანავ, ძირს დაეშვი, მალულს ემონე,
სხვაზე ნაყლები, ამა, რითა ხარ.
„დემოკრატიის" მოგდგომია თვითონ თხისთავა.

1995 წ.

### გადამთიელი

იმ სისხლში შენი ხელიც მელავამდე
იმ წლებში ჩვენი მიწა წარჰყვებით
და მეკითხები:
ლხინშიც სვედა, ლხინშიც ნაღველი,
რატომ გაცვეთა ლხინშიც შავები?
შენ ეგ სისმისი ამწეწ უცხოვ
თამამიც ხარ და გათამამდები.
ჩვენი ყორები ერთმანეთს მტრობენ,
ერთმანეთისთვის აქვთ ქამანდები,
თორემ ჩვეულით გადამთიელთ გათამადება.
ნუ მაყვირდები უცხოვ! როცა ავავსებ თვალებს
მასრია თვალი, ყინულია ორი იქ ცავი...
ჩვენი თვალებიდან გადმოდის მთვარე,
ჩვენი ვოყების თვალებიდან ზღვები იქცევა...
და რას გაიგებ, ლხინშიც შავი,
აღარ ვირთვები,
ნუ მაყვირდები გადამთიელო,
ნუ მაყვირდები.

1999 წ.

### ჩვენი სამშობლოს უბედურება

ჩვენი სამშობლოს უბედურება არის
ტირანი პოპკა, ღვთისგან შერისხული
ჩვენი ქალაქის ხელისუფალი, თქვენ
რომ ერთხელ ამოირჩიეთ.
ალკეოსი

რატომ მივაპყრობ შენს თეთრ
მხარბეჭს იმედიან თვალს?
იქნებ ტყუილი არის იმედი?
როცა მკვდარია ყველა – სულტიც
და ფილავანიც,
დანგრეულია ყველა ზღუდე
და გალავანი,
დაცემულია მტენი,
დამიწებულან მეომარნი და
კბილთა მღრჭენნი.
დაგმობილია ყველა წუთი,
ჩვენც დავიგმობით.
დაგვტრიალებენ სვავები და ზღვებს მიაპობენ
ნაძარცვითა და ლტოლვილებით
სავსე გემები.
ჩვენი სამშობლოს უბედურებას
გაერიდები ახლა გაქცევით?
როცა ქალაქში კაცი არ არის,
როცა ქალაქში ბავშვიც არ არის,
როცა ქალაქში დავრჩით მხოლოდ
დედაკაცები.
რატომ მივაპყრობ შენს თეთრ
მხარბეჭს იმედიან თვალს?
იქნებ ტყუილი არის იმედი...
ემაგ თვალების
და სახის რისხვა
ძველებისაგან უბრალოდ შეგრჩა
და შენს თეთრ მხარბეჭს
მაგ მაღალ მხარბეჭს
ილიონის ძალლები შეშჭამს.

ჩვენი გეოპოლიტიკა

## ბერძენიშვილი და ჯგერენაია „ფაშისტური" საქართველოს წინააღმდეგ?

(რადიოსადგურ „თავისუფლების ევროპის" მიერ 2000 წლის 7 სექტემბერს ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია: RFE/RL CAUCASUS REPORT Vol 3, № 36)

რადიოთი გადმოიცა საქართველოს ერთგული ბიბლიოთეკის დირექტორის ლევან ბერძენიშვილისა და სოციოლოგი ემზარ ჯგერენაიას დისკუსია ქართული ტოლერანტობის თაობაზე. ისინი ცდილობდნენ მოეძიათ ამ „მითის" წარმოშობის წყაროები და გვითავაზობდნენ საზოგადოების განვითარების გზას „ყველა მოწამისიდან" ტოლერანტობის ზუსტ გაგებამდე.

ბერძენიშვილი დაეთანხმა მსაჯულ დავით პაიჭაძის შეხედულებას, რომ ქართველებს აქვთ ტენდენცია იყვნენ დაბრმავებულნი თავიანთი, როგორც ტოლერანტების, იმიჯით. ეს იმიჯი ტრადიციულად განპირობებულია, როგორც პაიჭაძე აღნიშნავს, მეძიებო ისტორიული ანეკდოტით: თბილისის ერთ უბანში არის მეჩეთი, სინაგოგა და ქართული ორთოდოქსული ეკლესია. ჩვენი საზოგადოება არა მარტო რელიგიური შეწყნარების მიმართ არის შეუწყნარებელი, არამედ იმისაც, რასაც შეიძლება ეწოდოს ლოკალური პატრიოტიზმი. ქართველები თავის თავს უფრო მაღლა აყენებენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით იმ თვალსაზრისით („როგორც ნებისმიერი ოპაზი დაბლატრატები"). რომ სოფელზე ან გორაკზე ქორწინების ფაქტი მიჩნეულია „ტრაგედიად".

ბერძენიშვილის აზრით, ეს იმის ბრალია, რომ არაფერი ვიცით თავიანთი ქართული ისტორიის შესახებ და არც ვიცით, რომ წინ აღუდგებოდნენ ასეთ აზროვნებას და შენარჩუნებინათ ტოლერანტობა.

ჯგერენაია ეთანხმება მას, რომ ქართველები ისტორიულად ან უფრო შემწყნარებლები იყვნენ, ვიდრე ახლა არიან, ეს არის „მითი", რომელიც არასოდეს ყოფილა დადასტურებული. ტოლერანტობა არის სიმდიდრე, რომლის ქონაც მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს ძალუძს. საქართველო კი ისტორიულად ვრცელ მონაკვეთში არასოდეს ყოფილა ძლიერი სახელმწიფო.

ავითარებს რა სახელმწიფოს როლისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ტოლერანტობის განვითარებაში, ბერძენიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ტოლერანტობა არის წმინდა ეროვნული ხასიათისა, და რომ შეუძლებელია ეს დადასტურდეს ქართველობის ყოფის სიღრმეებზე.

ბერძენიშვილი მიიჩნევს იმ ფაქტზე, რომ, თუ პოლიტიკოსს ფეხი სოფელში ჰყავს, შეიძლება მას ხმების რაოდენობა დააკარგოს, იგი შიშობს, რომ საქართველო გერმანული ტიპის ფაშიზმისაკენ მიექანება.

ჯგერენაია ეთანხმება ბერძენიშვილს, რომ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს შექმნით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ქართველების გაუტანლობის კომპლექსს და ახალგაზრდა მმართველობა ტოლერანტობის დამკვიდრების მთელი აქტიურობით შეუდგება.

ჩვენი კომენტარი: ამგვარად ეხმით „პროგრესულად მოაზროვნე" საზოგადოების ამ წარმომადგენელთ ეროვნულობა, მართლმადიდებლობა და ქართული ტოლერანტობა და იღვწიან მოამზადონ საზოგადოება ისეთი „არაფაშისტური" სახელმწიფოს შესაქმნელად, სადაც არა არის რჩეულ, არცა მამაკაცისა და არცა დედაკაცისა, არცა ეროვნებისა და არცა რელიგიისა.

კადრები ქუთაისის უახლესი წარსულიდან

## კბილებამდე შეიარაღებული ძალები მზად იყვნენ აღესრულებინათ სისხლით მოსული მთავრობის სისხლიანი გადაწყვეტილება

იდგა 1993 წელი. საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამი. მძვინვარებდა ტერორი, ანარქია. საქართველოდან განდევნილი კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით იმართებოდა მიტინგები, საპროტესტო აქციები, გამოსვლები. უკანონო ხელისუფლების შეიარაღებული ძალების მიერ იხვრიტებოდა და ირბეოდა მიტინგები. მთელი საქართველო სისხლში ცურავდა.

გამონაკლისს არც ქუთაისი წარმოადგენდა. აქ მრავალი გამოსვლა ჩაახშეს იარაღის ძალით, მაგრამ მომიტინგენი ისევ და ისევ თავგანწირვით იბრძოდნენ ზვიად გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს სამშობლოში დაბრუნებისათვის. ერთადერთი სურვილი კანონიერი ხელისუფლების აღდგენა იყო. ყველა მოუთმენლად ელოდა ქართველებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს თარიღს – 26 მაისს, ეს ხომ ჩვენი ხალხის საყვარელი გმირის მერაბ კოსტავას დაბადებისა და საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევნის დღე იყო და არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, როგორც დღეს სურს თავს მოვევლინოს ეგრ. ხელისუფლებას (დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 9 აპრილია).

მიტინგი უნდა ჩატარებულიყო კინოთეატრ „საქართველოსთან". უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა ერთგული სულისკვეთებით იყო აღბეჭდილი, დროშებითა და ეროვნული გმირების სურათებით ხელში ელოდნენ მიტინგის დაწყებას, თუმცა ითითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა, რაც მოელოდა, რა საშინელებაც დატრიალდებოდა, თუკი გადაწყვეტდნენ და მიტინგს ჩაატარებდნენ.

კბილებამდე შეიარაღებული ძალები უკვე მზად იყვნენ და ბრძანებას ელოდნენ, რათა აღესრულებინათ სისხლით მოსული მთავრობის სისხლიანი გადაწყვეტილება.

ხალხი თითქოს გრძნობდა მოსალოდნელ საშინელებას და ცდილობდა გმირულად შეეგებინა აღსასრულს.

დაიწყო მიტინგი. გამომსვლელებმა მოიგონეს 26 მაისი და თავდადებისაკენ მოუწოდეს, მაგრამ უცებ გაისმა ხმაური და ყველამ მიხვდა, რომ დარბევაც დაიწყო. ვიღაცამ გვარჩია „ჯაშუში" გავაცილეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ტოლოლისებურად მოსულმა იარაღიანებმა ვერაფერით შეაჩერებინეს. არანაკლებ ყვირილით მივარდნენ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს ხელკეტებითა და წიხლებით გაავებულნი ცემდნენ მათ, არ დაუნდობდნენ ასაკოვნებზე წაქცეულ ახალგაზრდას თუ მოხუცს, წიხლებით უცემდნენ და ისე აწიოკებდნენ სიმართლისათვის მებრძოლთათვის. მთელი ძალით გაფურჩქვნილ ცემდნენ მამაკაცებსა და ქალებს, ყოველივე ამას თვით თვითონ იღებდნენ, რათა შემდეგ დოკუმენტურებიანი ის, ვინც უფრო დიდ სისასტიკეს გამოიჩენდა მომიტინგეებთან და ამით ერთგულება დაემტკიცებინა სისხლით მოსული მთავრობისას.

ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ იქვე მახლობლად, ადმინისტრაციის შენობასთან თავიანთ პირადი ჩაფხუტებით მთავრობის ლოლების მართველი და მოძალადე სახეებით უყურებდნენ იქ მყოფები პოლიციელებს.

მომიტინგეები ცდილობდნენ, როგორმე თავი დაეღწიათ ამ საშინელებისათვის და გადაერჩინათ ხალხის ეროვნული სულისკვეთება და კანონიერი ხელისუფლებისადმი ერთგულების შემდეგი ფაქტიც მეტყველებს დარბეულ მომიტინგეთა გადასარჩენად გზაზე მიმავალი საპატრულო ავტობუსები ჩერდებოდნენ, აჰყვებოდნენ დარბეულები და ცდილობდნენ სწრაფადვე დაეცვათ კარი თუ ფანჯარა დევნისგან მათ დასაცავად. ახლაც თვალწინ მიდგას ერთ-ერთი ავტობუსის მძღოლი, რომელმაც ვერ მოასწრო მანის ამოწევა და ხელკეტიანი წესრიგის დამცველებისაგან თავში მოხვედრილმა დარტყმამ საშუბ დაარანცხა.

მრავალი ვიყავი მაშინ, როდესაც ერთმანეთს შეურაცხ ქართველებს უყურებდნენ ახლა კი ქართველობა გაიკანწლულია. ზოგი არსებობის შესანარჩუნებლად საზღვარგარეთ გადახვეწილი, ზოგიერთი მათგანი ალაგას მიეტოვებინა ეროვნული მოღვაწეობა, ზოგიც კიდევ მოიკლავს და თავიანთი ვერაგული მიზნებისათვის გამოიყენებს.

მოუხედავად ყველაფრისა, არსებობს ქართველების უმეტესობა, რომელიც იღწვის თავდადებული მიზნისათვის და ისევ იმ გზას ადგას, რასაც კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ჰქვია სახელად.

დოდო იოსებ-ლორთქიფანიძე

26 მაისს გულმხურვალე მამულიშვილის, ამ უკვე ზეციურ საქართველოს შეერთებული თავდადებული ქართველის, ქ-ნი მერი გოგბერიძის დაბადების დღეა. უფალმა ნათელში ამყოფოს სიმართლისათვის შეწირულთა სულები.

მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ ქ-ნი მერის ლექსებს.

# საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს!

ყველას, ვინც კვლავ ინარჩუნებს მოქალაქეობრივ ღირსებას, ქვეყნის გადარჩენის იმედსა და სურვილს, ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებულ საერთო სახალხო შეკრებაზე – 2001 წლის 26 მაისს, 13 საათზე, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე (სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა

## პატივცემულო მკითხველო!

გაზეთი „ქუჯი“ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება; მისი შეძენა შეგიძლიათ ჯიხურებში. ასევე, შესაძლებელია, გაზეთი „ქუჯი“ გამოიწეროთ უახლოეს საფოსტო განყოფილებაში.

„ქუჯის“ რედაქცია

## გასწორება

„ქუჯის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა რუსულიდან თარგმნილი სტატია „სპეცნაზი - ყველა ჩვენთაგანისათვის“, რომელშიც საუბარი იყო რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმის მონაწილეობაზე საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ 1991-93 წლებში განხორციელებულ პუტჩში. სტატია გადმობეჭდილია „Собеседник“-დან (1994წ. №5) და არა „Свободная газета“-დან.

## ზესტაფონური კეიმატი

**რუსუდან სხილაძე**

### უმთვარო ღამე

გალაკტიონის „მე და ღამეს“ მიხედვით

ჯერ არასდროს არ ყოფილა ლარი
ასე მყარი.
ასე ჩუმი, ასე უტყვი ხალხი სხვა
სად არი?!
უდრტვინველად შევეგებეთ
დამდეგ საუკუნეს,
„ლამპებით“ და სანთლის შუქით
მივაპობთ უკუნეთს.
თრთოლვით ველით კუთვნილ ხელფასს,
როგორც საქმროს - ქალი,
და თუ ჩვენი ჯამაგირით
გავისტუმრეთ ვალი,
აღარ ვჩივით, რომ შიმშილით
გვიბნელდება თვალი,
რა ხანია არ გვინახავს არც შუქი,
არც წყალი...
ბაზრობაზე ვეძებთ „ძონძებს“
უცხოელთა ნაქონს,
ასე ჯიბეგაფხეკილი ხალხი მე არ მახსოვს.
საახალწლოდ აღარ გვქონდა
საცივი და მწვადი,
კიდევ კარგი, ცოტა დაგვრჩა
ლობიო და მჭადი,
სუფრას ვეღარ დაგვიმშვენებს
ხაჭაპური ცხელი,
ოჰ, არასდროს არ ყოფილა
ასე ძვირი ყველი...
არ გამართლდა, წინაპარნო, იმედები თქვენი
და მიჰყვება საუკუნეს ოცნებები ძველი.
ასე ჩუმი და მორჩილი ხალხი კიდევ არი?!
ჯერ არასდროს არ ყოფილა
ლარი ასე მყარი.

## ექიმი



### ანგინა

დინდგილა ყველაზე უკეთესი საშუალებაა ანგინის დროს, დაავადების ყველა სტადიაში. ხარისხიანი დინდგილას ხმარებით ანგინა გაივლის 2 დღეში, გართულების გარეშე. ხმარება კი ასე უნდა: დაქუცმაცებული დინდგილა და სპირტი შეფარდებით 1:10-ზე გავაძნოთ წყლიან აბაზანაში 40 გრადუსზე. შემდეგ 10 მლ. დინდგილას სპირტხსნარი შევურიოთ 100 მლ. წყალში (ბავშვებისათვის 5:100-ზე). სასარგებლოა რამდენიმე წვეთი ნაყენის მიმატებით ჩაის დალევაც.

## დიასახლისი

### ვაშლის ტორტი

3 კვერცხის გული და ჭიქა შაქარი ათქვიფეთ, დაუმატეთ 1 ქილა მაიონეზი, 100 გრ. არაჟანი, კარგად აურიეთ, შეურიეთ ჭიქანახევარი ფქვილი, ცოტა სოდა და მოზილეთ. ცომი გადაიტანეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ტაფაზე და შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში. აცხვეთ ოქროსფერის მიღებამდე. 5-6 (მჟავე) ვაშლი დაჭერით და დაასხით 1 ჭიქა შაქარში ათქვეფილი ცილა, მოასხით გამომცხვარ ბისკვიტს და შედგით ღუმელში. ტორტი გამომცხვარია, როცა ცილა ოქროსფერს მიიღებს და შეხმება.






**პესო ჯულელი:** „ვდებ ნიძლავს გაზეთ „ახალი ერას“ კოლექტივთან: შევარდნაძე, როგორც პრეზიდენტი, ახალ, 2002 წელს ვერ მიულოცავს ქართველ ერს“ („ახალი ერა“).



„მე გადავდგები, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. თუ ვინმე უკეთესი იქნება, პრობლემა არ არის, მაგრამ მანახეთ, ვინ არის ჩემზე უკეთესი...“ („ახალი თაობა“).



**შალვა ნათელაშვილი:** „შევარდნაძე საოცარი ფენომენია, პოლიტიკაში დამანგრეველი, რომელსაც ვერც ერთი ტორნადო ვერ შეედრება“ („ალია“).

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ეკა დადიანი (მეცნიერება), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), ლელა ხაჭაპურიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ჭუჭრაძის 32
ტელ.: (8-231) 2-16-03
(8-22) 22-15-87
მობ.: (877) 47-69-30
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818